3-47

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

№ 12
1929

## სახელგამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაუმარჯოს ამიერკავკასიის ძმურ ხალხთა კულტურულ კავშირს!

## ჩვენი პიონერული სალამი სომხეთის და ადერბაიჯანის საბჭოთა მწერლებს!

## ჩვენი მხურვალე პროლეტარული სალამი სომხეთის და ადერბაიჯანის პროლეტარულ მწერლებს!

ა/წ. 12 ივნისს, დილის 9 საათზე, საქართველოში ჩამოვიდენ სომხეთის და ადერბაიჯანის მწერლების დელეგაციები.

სტუმრებს სადგურზე შეხვდენ მთავრობის, პარტიულ-კომკავშირული და პროფესიონალური ორგანიზაციების, წითელი არმიის, პრესის, საქ. საბჭოთა მწერალთა ფედერაციის, ფაბრიკა-ქარხნების მუშების და სხვათა წარმომადგენლები.

დელეგატები დაიყოფიან ჯგუფებად და დაათვალიერებენ ზაჰესს, ნატახტარის წყალსადენის სამუშაოებს, მაუდის ფაბრიკას, სტალინის სახელობის ქარხანას, სახკინმრეწვის ფაბრიკას და სხვა.

დელეგაციების საქართველოში მოგზაურობა გადაღებული იქნება სახკინმრეწვის მიერ.

სომხეთისა და ადერბაიჯანის მწერალთა დელეგაციები საქართველოში ერთ კვირას დარჩებიან და ადგილობრივ გაეცნობიან სოციალისტურ აღმშენებლობას, კულტურულ მშენებლობას საქართველოში.

საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაციაც იყო სომხეთსა და ადერბაიჯანში, სადაც ის მხურვალედ და ძმურად მიიღეს. საქართველოს დელეგაცია გაეცნო ადგილობრივ იმ გიგანტურ აღმშენებლობას, რასაც აწარმოებენ მუსავატელების და დაშნაკების მიერ გაპარტახებულ სომხეთსა და ადერბაიჯანში.

სულ ამ ათი წლის წინად, როდესაც ამიერკავკასიაში მშრომელ ხალხზე მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები ბატონობდენ, მშრომელი ხალხის ეს ჟანდარმები, სისხლის სამართლის დამნაშავე ბანდიტები, მოძმე ერებს ერთიერთმანეთს უსევდენ და მათ შორის ეროვნულ შუღლს სთესავდენ.

საბჭოთა ხელისუფლებამ ეს „სისხლიანი მემკვიდრეობა“ არქივს გადასცა, და მშრომელი ხალხების ჯალათების მიერ ხელოვნურად და ძალადობით დაშორებული ამიერკავკასიის მოძმე ხალხები კვლავ შეერთდენ ერთ ოჯახში შრომის და ურთიერთდახმარების საფუძველზე.

მოძმე რესპუბლიკათა პოლიტიკური და ეკონომიური კავშირის განმტკიცების და სოციალიზმისაკენ სვლის თავდებია ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია.

ამიერკავკასიის შემდგომი წარმატება და განვითარება მოითხოვს არა მხოლოდ მის პოლიტიკურ და ეკონომიურ სიმტკიცეს, არამედ მოძმე ხალხთა კულტურულ დაკავშირებასაც, კოლექტიურ მუშაობას პროლეტარული ახალი კულტურის შექმნისათვის.

სომხეთის, ადერბაიჯანის და საქართველოს მწერლების ეს შეხვედრა ამიერკავკასიის ცენტრში — ტფილისში — უნდა გახდეს საწინდარი კულტურის მუშაკთა დაკავშირებისა და საფუძვლიანი ბრძოლისა შოვინიზმის და ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

ჩვენი მხურვალე სალამი მოძმე რესპუბლიკათა საბჭოთა მწერლების ინტერნაციონალურ კავშირს!

ჩვენი პიონერული სალამი მოძმე რესპუბლიკათა საბჭოთა მწერლებს!

---

## შ ი ნ ა ა რ ს ი:


| | გვ. |
|---|---|
| 1. თავისუფლებისათვის მებრძოლი — **ვ. ჩერევკოვის** | 1. |
| 2. სოფლად მოვალთ მტკიცე რაზმი — ლექსი — **ი. აბაშიძის** | 4. |
| 3. გოჩა — **ვ. კობელის** | 5. |
| 4. მაშინ — **ა. ჩაჩიბაიასი** | 7. |
| 5. მინდვრად — ლექსი — **ვ. გაბესკირიასი** | 7. |
| 6. როგორ იდღესასწაულა პირველი მაისი ფრანგის ბიჭმა ლიულუმ | 9. |
| 7. ტრაქტორი — **გ. პარკაძის** | 10. |
| 8. გაზეთი | 12. |
| 9. მურზაყან და უჩა — **მ. კეკელიძის** | 14. |
| 10. მეცნიერება და ტექნიკა | 15. |
| 11. სომხეთისა და ადერბაიჯანის მწერლები საქართველოში — გარეკანის მეორე გვერდზე | |
| 12. საბჭოთა კავშირის შორეულ კუთხეში — **ხანის** — გარეკანის მესამე გვერდზე. | |
| 13. პოლონეთის ფაშისტები — გარეკანის მეოთხე გვ. | |

329.15 ჟ(05)
ჟ-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზადა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

1929
30 ივნისი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური და ტფილისის ბიუროების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი ბავშვებისათვის

წელიწადი IV
№ 12

### სამიკიტნოში.

ეს იყო ჩვეულებრივი სამიკიტნო, როგორიც ბლომადაა ზღვის პირად. გაღებულ ფანჯრებში სინესტის ძლიერი სუნი იჭრებოდა.

დაბალჭერიან გრძელ ოთახში რგვალ მაგიდასთან იჯდა იტალიელების მხიარული ჯგუფი. მელოტ მიკიტანს ცოტათი მაინც რომ გაეგო, თუ რას ლაპარაკობდა ეს ხალხი, ის დაზგასთან თავის ქინდრვას თავს გაანებებდა, მაგრამ ეს იყო რუსი, რომელიც ვალდებული არ იყო სცოდნოდა იტალიური ენა, ვინაიდან მისი სამიკიტნო რუსულ ქალაქ ტაგანროგში იყო, აზოვის ზღვის ნაპირას.

ცხარე ბაასის დროს კარებში გამოჩნდა პატარა ტანის ახალგაზრდა იტალიელი, მეზღვაურის ფორმაში, რომელსაც ამშვენებდა შემოდგომის ცის ფერი ცოცხალი თვალები.

იტალიელები დაჩუმდენ. მეზღვაურმა მოიხადა ქუდი, მიჯდა კუთხეში და ხარბად დაიწყო სადილის ჭამა.

რგვალ მაგიდასთან მსხდომებს დაავიწყდათ მისი იქ ყოფნა. შავწამოსასხამიანმა და ფართოქუდიანმა ახალგაზრდამ გადაისროლა სკამი და ასწია ხელი.

— მეგობრებო! სთქვა მან ნაღვლიანად — თქვენ ამბობთ: იტალია... მაგრამ განა ის არსებობს? განა მისი სხეული დაგლეჯილი არაა ნაწილ-ნაწილად ავსტრიელების, მეფეებისა და ეკლესიის წმინდა მამების მიერ? და განა ამ მტაცებლებმა არ წაუჭირეს კლანჭები ყელში ჩვენს დიდ ხალხს? რომის მოედანზე ჰკიდია თავისუფლებისათვის მებრძოლი შვიდი ადამიანის გვამები, მოქალაქეთა შესაშინებლად დაკიდებული. და ეს სად? ჩვენი ქვეყნის გულს ჩაერჭო „წმინდა“ პაპის ხარბი კლანჭები...

ის გაჩუმდა, დამანჭა ტუჩები და მკერდზე მიიყრდნო ხელები. მის პირველ სიტყვებისთანავე კუთხეში მჯდომმა მეზღვაურმა ყურები დაცქვიტა და მისი ჩანგალი ჰაერში შეჩერდა. შემდეგ მან ფრთხილად დასდო ჩანგალი თეფშზე და მთელი ტანით წინ წამოიწია, არ აშორებდა რა თვალებს მოლაპარაკეს.

— ან რა ხდება სხვა ქალაქებში, — განაგრძობდა ის,—საუკეთესო ადამიანები სარდაფებში იტანჯებიან, ამორჩეული პირები შეცვლილია მექრთამე მოხელეებით, მთელი მხარე განაწილებულია ავსტრიის და საფრანგეთის მეფეებსა და პაპს შორის, საშინელ სიღარიბეში ჩავარდა. ხალხი მთებში გადის და ყაჩაღთა ბანდებს აწყობს... სარდინიაში სწავლის მიღება დაშვებულია მხოლოდ მდიდრებისათვის... პიემონტში — ჩვენი იტალიელი მეფეა, მაგრამ განა ამით უკეთესია მისი მონებისთვის — იტალიელებისათვის?... ნეაპოლში...

— შეჩერდი. კუნეო! — შეაწყვეტინა მას აღელვებულმა ხმამ. — შენ დანით სერავ ჩვენს ჭრილობებს. სთქვი, როგორ მოვიქცეთ?

კუნეოს მკრთალ სახეს წ ,თელი საღებავი გადაესხა. ჩქარი მოძრაობით ამოიძრო მან საქამრედან გრძელი ხანჯალი და ჰაერში აათამაშა.

— აი რა! — დაიყვირა მან აქლოშინებულმა.

— აჯანყება! რევ ლუცია! იტალია არ არსებობს!

— ჩვენ შევქმნით მას ხელმეორედ! მაშ გაუმარჯოს თავისუფალი იტალიის დიდ რესპუბლიკას!

ძლიერი ხელი დაეცა მას მხარზე. კუნეომ მოიხედა. ნაცრისფერი თვალები უყურებდა მას აღფრთოვანებით და მხიარული განცვიფრებით.

— მე პირველად მესმის ეს, — სთქვა თითქმის ჩურჩულით მეზღვაურმა და მიიწევდა მჭიდროდ მისკენ, — მასწავლე, მთლიანად როგორ გადავდო თავი რევოლუციისათვის...

ალელვებისაგან მას ხმა ჩაუწყდა.

— შენი სახელი? — შეეკითხა კუნეო, გამოცდით უყურებდა რა მას.

— ჯუზეპე გარიბალდი, — უპასუხა მეზღვაურმა, რომელსაც თვალები ძალზე უბრწყინავდა.

ეს მოხდა 1830 წელს. ამ მომენტიდან გარიბალდმა მთელი თავისი სიცოცხლე მეფეების და პაპის წინააღმდეგ ბრძოლას შესწირა.

### ამერიკის თავისუფლებისათვის.

გარიბალდის დიდი დამსახურება მიუძღ ს, როგორც მებრძოლს იტალიის თავისუფლებისათვის, პატარა სამთავროებად დაქუცმაცებული იტალიის გაერთიანებისათვის, როგორც იტალიის რესპუბლიკისათვის მებრძოლს.

გარიბალდი იტალიელი იყო. მაგრამ ის იბრძოდა არა მარტო თავის იტალიელთა განთავისუფლებისათვის, ის იბრძოდა არა ნაკლებ ამერიკისა და საფრანგეთის თავისუფლებისათვის.

პიემონტის მეფემ გარიბალდის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა რევოლუციონური აჯანყების მოწყობისთვის და ის იძულებული იყო გაქცეულიყო სამხრეთ ამერიკაში. აქ ის გამოეცხადა პატარა ქვეყნის — რიო-გრანდის — მთავრობას, რომელიც აჯანყებული იყო ძლიერი ბრაზილიის იმპერატორის წინააღმდეგ და შესთავაზა თავისი თავი. მას ჩააბარეს ჯერ ახალგაზრდა რესპუბლიკის მთელი ფლოტი, რომელიც შესდგებოდა... ერთადერთი პატარა ხომალდისაგან, რომელზეც არ იყო არცერთი მეზღვაური. შეჰკრიბა რა კომანდა თექვსმეტი მოხალისესაგან, გარიბალდიმ დაიწყო რესპუბლიკის დაცვა ზღვაზე. ის იცავდა მას ისეთი წარმატებით, რომ იმპერატორის ხომალდებს ეშინოდათ დაეტოვებიათ თავისი ნაპირები.

პირველსავე ბრწყინვალე შეტაკებისას გარიბალდიმ ტყვედ ჩაიგდო მოწინააღმდეგეთა ხომალდი. კომანდამ გაქცევა მოასწრო. ხომალდზე დარჩა მხოლოდ რამდენიმე მონა — ზანგი. გარიბალდიმ წინადადება მისცა მათ დარჩენილიყვნენ მასთან სამსახურში მეზღვაურის ჯამაგირზე. ზანგები შეიშმუშნენ და ჩაიხითხითეს.

— რას ნიშნავს ეს? — გაკვირდა გარიბალდი (ის ინგლისურად ელაპარაკებოდა ზანგებს).

— ჩვენ გვესმის, — სთქვა მათ შორის ხნიერმა, — ბატონი მხიარული კაცია, ბატონს უყვარს ხუმრობა.

მხოლოდ შემდეგ მიხვდა გარიბალდი ყველაფერს: ამერიკაში ზანგები მონები იყვნენ, თეთრები მათ უფრო ცუდად ეპყრობოდნენ, ვიდრე ცხოველებს. ნუთუ შეეძლოთ დაეჯერებიათ ამ უუფლებოებს, რომ გარიბალდი სერიოზულად აყენებს მათ თეთრი მეზღვაურების გვერდით?

გარიბალდი ისე აღელვდა, რომ მთლად გაწითლდა. ღრმა აღშფოთებამ შეიპყრო ის ამ დაბეჩავებული ადამიანების შეხედვისთანავე. როდესაც დაარწმუნა ისინი თავის გულწრფელობაში, ზანგები კინაღამ შეიშალნენ სიხარულისაგან. მალე გარიბალდი ტყვედ ჩავარდა. ის შეეცადა მეკობრების დახმარებით გაქცეულიყო, მაგრამ შეიპყრეს და მიგვარეს გუბერნატორ მელანს.

— ვინ გშველოდათ გაქცევაში? — მრისხანედ შეეკითხა მელანი ტყვეს.

გარიბალდი სდუმდა.

— მიპასუხებთ თუ არა? — დაიყვირა გუბენატორმა და სილა გააწნა.

გარიბალდი არ განძრეულა და პირიც არ გაუღია. მისი თვალები ზიზღით მისჩერებოდა მელანს.

— მაშ ასე! — ხრინწიანად წარმოსთქვა გაცოფებულმა გუბერნატორმა და მიმართა მცველებს: — აიძულეთ სთქვას ამ ვაჟბატონმა!

გარიბალდის შეუკრეს ხელები, მიაბეს ზედ დიდი თოკი და გადააგდეს ჭერის ძელზე. ხუთი კაცი მოეკიდა თავისუფალ ბოლოს. წელ-ნელა ავ და გარიბალდის სხეული და აქეთ-იქით ქანაობდა.

მელანმა შეხედა გარიბალდის დასისხლიანებულ თვალებს და და ,ინვით შეეკითხა:

— იმედია, ახლა გააღებ პირს?

— ჰო! — ჩუმად ჩაილაპარაკა გარიბალდიმ (ძლივს ამოძრავებდა ტუჩებს), — აი ამისათვის! — და პირში მიაფურთხა გუბერნატორს.

გარიბალდის დიდხანს სცემდენ, მაგრამ ის გამოკეთდა და მალე გაითავისუფლა თავი.

თორმეტი წელი გაატარა გარიბალდიმ ამერიკაში, ეხმარებოდა რა აღმოცენებულ რესპუბლიკებს დამოუკიდებლობის მოპოვებაში. მან ჩაიდინა გასაოცარი გმირობანი, მისი სახელი მთელ ქვეყანას მოედო. ბოლო წლებშ ის დანიშნეს ერთ-ერთი რესპუბლიკის მთელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად. ერთხელ მას მოახსენეს, რომ ტყვედ ჩავარდნილა გუბერნატორი მელანი.

— გაათავისუფლეთ! — გასცა ბრძანება გარიბალდიმ. — დეე, იცოდეს მან, რომ არა ჰყავთ პირადი მტრები იმათ, ვინც თავისუფლებისათვის იბრძვის. დაჩქარეთ! — დაუმატა მან მოუთმენლად — თორემ მეშინია, არ მეყოფა ნებისყოფა და შესაძლებელია დავახრჩო!

### „ათასი“

იტალიის მახლობლად მდებარეობს პატარა მოღუშული კუნძული კაპრერა. ერთის მხრივ პირდაპირ წყლიდან იზრდება ქვის კედელი. მეორე მხრივ კლდეები ეშვება ზღვაში. ბოროტი ქარი სიროკო ღრიალებს ხეობაში და უერთდება ტალღების ხმაურს. ამ დაუსახლებელმა მიწამ მიიპყრო გარიბალდის ყურადღება თავისი მოღუშული სილამაზით და იტალიასთან სიახლოვით. თავის მდივან ბასოსთან ერთად აქ ააშენა მან პატარა სახლი და მოთმინებით ელოდა, თუ როდის დაუძახებდა

მას იტალია. მანამდე კი მიწათმოქმედებას მიჰყო ხელი, დაამუშავა მიწის ნაკვეთი, გააშენა ბოსტანი, დარგო ხილის ხეები და ვაზი.

დიდხანს არ მოუხდა ცხოვრება სიმარტოვეში: იტალიის სხვადასხვა კუთხიდან ნახულობდენ მას გადარჩენილი რევოლუციონერები. პატარა, ღარიბად მოწყობილ ოთახში ისინი იმუშავებდენ იტალიის განთავისუფლების ყოველ გეგმას. ასეთი საუბრების შემდეგ მიდიოდენ ისინი კუნძულის შუაგულში, გარიბალდის მიერ აშენებულ „ვატიკან“-ში[1]) — ძველ ფიცრულ სარდაფში. იქ გარიბალდი ზეიმით წარუდგენდა ხოლმე მათ ძველ გაქუცულ ვირს, რომელსაც მოწიწებით ეძახდა უწმინდეს პაპ პიი მე-IX[2]).

1860 წლის ერთ მაისის დილას ბასომ უთხრა მთელ ღამეს უძინარ გარიბალდის:

— მზადაა!

ეს იმას ნიშნავდა, რომ ორი სავაჭრო ხომალდი, გენუაში ხელში ჩაგდებული, ზღვაზე მდებარე სოფელთან მიიყვანეს. გარიბალდი მიუახლოვდა ნაპირზე დაწყობილი მოხალისეების მარჯვენა ფლანგს. გარიბალდი უკვე 53 წლისაა. ვერცხლის ფერი გადაჰკრავს მის წითურ გრძელ თმებს. ის უკვე ორჯერ იყო ამერიკაში, ვინაიდან სდევნიდენ იტალიის მთავრები. ის იბრძოდა იტალიის სხვადასხვა კუთხეში, იპყრობდა მთელ ოლქებს, მაგრამ გამცემლობა და ღალატი აიძულებდა ხელახლა დამალულიყო კაპრერაში. პონჩო (ამერიკული პლაშჩი), ამერიკულ და იტალიურ ლაშქრობათა დიდების მოწმე, არ ფარავს გრძელ წითელ ხალათს, რომელიც ცეცხლივით ღელავს. ამ ხალათისათვის, რომელსაც ის არასდროს არ იშორებდა, მტრები „წითელ ეშმაკს“ ეძახდენ.

აღფრთოვანებული უამრავხმიანი ძახილი ხვდება ბელადს. ის სწევს ხელს. მოკლე მისალმება. შეეკითხა ბასოს:

— რამდენი ხართ აქ?

— ათასი კაცი.

— საკმარისია, რომ ავბარგოთ ათეული მეფე, არა? — მხიარულად შეეკითხა გარიბალდი.

მხიარული კიჟინით მისცეს პასუხი. ეს სახელგანთქმული „ათასი მალე ცნობილი შეიქნა მთელს ქვეყანაზე. მით გარიბალდიმ გაილაშქრა ნეაპოლიტანიის მეფის წინააღმდეგ, რომელსაც ჰქონდა ციხე-სიმაგრეები, არტილერია, ასიათასიანი რეგულარული არმია და ძლიერი ფლოტი. რევოლუცია გარიბალდელების წინ მიდიოდა. მათი მიახლოვების შესახებ პირველ ცნობისთანავე მოსახლეობა ფეხზე დგებოდა ქალაქებსა და სოფლებში და სპობდა მეფის ხელისუფლებას. მთელი იტალია აფორიაქდა. იტალიის მრავალრიცხოვანი სამთავროებიდან მოხალისენი მიილტოდენ გარიბალდისაკენ. ათი ხომალდი მოვიდა მის განკარგულებაში. დაძლეულმა ნეაპოლიტანიის მეფემ გარიბალდის წერილი მისწერა, რომელშიაც პირობას იძლეოდა შემოიღო ხალხური მართველობა, აღედგინა ამორჩევითი თანამდებობანი და „ეჩუქებია“ ხალხისათვის ყოველგვარი თავისუფლება.

— გვიანაა, — სთქვა გარიბალდიმ, უკვე მეტს მოვითხოვ.

დაუსვენებლივ მიიწევდა ის ნეაპოლისაკენ.

1) ვატიკანი — პაპის სასახლე რომში.

2) პიი მე-IX — პაპი, რომელიც განაგებდა იმ დროს რომის ოლქს.

**ბიძია პე.**

— ჩვენ მაინც შევალთ დღეს ნეაპოლში, — სთქვა გარიბალდიმ, გადავლო რა თვალი სამხედროსაჭოს.

— მაგრამ ხალხი ამ ლაშქრობებისაგან დაღლილია და ფეხზე ველარ დგება, — შეეცადა წინააღმდეგობას ვიღაცა.

— მე ვთქვი!

ის იმას ნიშნავდა, რომ ბრძოლა უკვე გადაწყვეტილია და ამაზე სჯა-ბაასი ზედმეტია.

ხმლების ჩხარუნით წამოდგენ მეთაურნი.

— გვიბრძანებთ შეკრების საყვირის დაკვრას? — შეეკითხა ადიუტანტი კრისპი.

— პირიქით, არაფრით არ შეაწუხოთ ხალხი.

სახეებზე გაოცება აიხატა. გარიბალდიმ ჩუმად, ჩაცინებით მოიხსნა ხმალი და რევოლვერი მაგიდაზე დააგდო; მიიღეთ ჩემგან სარდლობა ჩემი აქ არყოფნის დროს, — დამშვიდებით სთქვა მან.

— რას ნიშნავს ეს? — წამოიძახა ადიუტანტმა.

— ანდატე! (იტალიურად ნიშნავს: გაეთრიე) — წამოიყვირა გარიბალდიმ, და მისი თვალები გაბრწყინდა. ამ სიტყვას კარგად იცნობდენ გარიბალდელები. ოთახი დაცალიერდა. მხოლოდ მდივანი ბასო იდგა მაგიდასთან.

— გსურს გასეირნება ჩემთან ერთად? — შეეკითხა მას გარიბალდი.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისინი რკინის გზის პატარა სადგურზე იყვნენ, რომელიც გარიბალდელთა ხელში იყო.

— ორთქლმავალი ვაგონით — ნეაპოლამდე! — გასცა განკარგულება გარიბალდიმ.

— ნეაპოლამდე? — შეეკითხა, არა სჯეროდა რა თავისი ყურების, სადგურის უფროსი.

— ჩქარა! — მრისხანედ დაუმატა გარიბალდიმ. დამაყრუებელი ხმაურით გარბოდა არაჩვეულებრივი მატარებელი მეფის ძლიერი ჯარის მიერ დაჭერილი ნეაპოლისაკენ, და უკან რჩებოდა სადგურები. გარიბალდიმ და მისმა მდივანმა მშვიდად ჩაიარეს გაშეშებული ჟანდარმის გვერდით ნეაპოლის სადგურის ბაქანზე. შემდეგ ისინი ჩასხდენ ღია ეტლში და სასახლისაკენ გასწიეს მიუახლოვდენ ყაზარმებს. მეფის ოფიცრებმა (სადგურიდან გაფრთხილებული იყვნენ გარიბალდის საკვირველ გამოჩენაზე) გასცეს განკარგულება ესროლათ. გარიბალდი ადგა ეტლში, დაეყრდნო ბასოს და დამატყვევებლად იღიმებოდა. რომელიღაც ჯარისკაცმ დაუშვა თოფი.

— იტალიელებო! — აღერსიანად სთქვა გარიბალდიმ. — თქვენი თოფები მიშვერილია არა იმ მხარისაკენ. შეინახეთ თოფის წამალი მეფეების საწინააღმდეგოდ, რომელნიც იმონებენ იტალიას.

— ევვივა (იტალიურად „გაუმარჯოს“) გარიბალდი! გაისმა აღელვებული ხმა მარჯვენა ფლანგიდან.

ყველგან უკვე რახუნობდა კარები. და ქუჩებს მცხოვრებნი აწყდებოდენ, აივნები გაივსო წითელი დროშებით და ყვავილები წვინასავით ეცემოდა გარიბალდის ეტლს. ათ საათს მთელი ნეაპოლი ყარაულობდა სასახლის ფანჯრებს, საიდანაც უკვე მოასწრო გაქცევა მეფემ და სადაც ახლა დროებით დაბინავდა „წითელი ეშმაკი“, შეუდარებელი „ბიძია პე (პე — შემოკლებით ჯუზეპე). ხალხის მხიარული ყვირილისაგან ფანჯრები ზანზარებდა, და გარიბალდი ყოველ წუთს გამოჩნდებოდა ხოლმე აივანზე

და უპასუხებდა მილოცვებზე. ბოლოს მის მაგიერ გამოჩნდა ბასო და როდესაც ყვირილი შენელდა, მორიდებით სთქვა:

— მოქალაქენო! ჯუზეპე გარიბალდი ძალზე დაქანცულია ლაშქრობებით. მას ახლახან ჩაეძინა სავარძელში.

— დეე, ტკბილად ეძინოს ბიძია პეს! — გაისმა ზარივით ხმა.

— სს! სს! ჩუმად! — მოისმა ყოველი მხრიდან, და უზარმაზარი მასა ნელ-ნელა დაიშალა.

**რომი ან სიკვდილი.**

დაიპყრო რა ნეაპოლიტანიის ოლქი, გარიბალდიმ დაიწყო მზადება მთელი იტალიის და უპირველეს ყოვლისა მისი სატახტო ქალაქის რომის განთავისუფლებისათვის. აქ გამოჩნდა გადაულახავი სიძნელენი. მას ემუქრებოდენ საუცხოოდ გამოწვრთნილი და შეიარაღებული უცხოეთის რეგულარული არმიები, გარიბალდელები კი წარმოადგენდენ პარტიზანულ ჯარს, ძლიერს თავისი ენტუზიაზმით, მაგრამ ამ ჯარის უმრავლესობა იარაღის ხმარებაში არ იყო გაწრთვნილი. ასეთ პირობებში ბრძოლის წარმოება უაზრობა იყო, და გარიბალდიმ თავისი მიზნის მიღწევისათვის უკიდურეს საშუალებას მიმართა: მან შეჰკრა კავშირი ერთადერთ პიემონტის მეფე ვიქტორ ემანუილთან. მაგრამ ის მოსტყუვდა ანგარიშში. პიემონტის მეფემ დაიჭირა თავისი ჯარით ნეაპოლიტანიის სამეფო, მაგრამ არ ფიქრობდა რომზე გალაშქრებას. მან შესთავაზა გარიბალდის მარშლის წოდება, ერთ-ერთი სამეფო სასახლე და მშვენიერი მამული. შეშფოთებულმა გარიბალდიმ უარჰყო ეს, აიკიდა ერთი ტომარა ცერცვით (კვებისათვის) და გასწია თავის კაპერერაში.

— რომი ან სიკვდილი! — ეს იყო გარიბალდის ლოზუნგი, რომელიც მთელს იტალიას მოედო პატარა კუნძულიდან.

მეფემ მეთვალყურეები მიუჩინა გარიბალდის.

ოთხი ხომალდი დღედაღამ მორიგეობდა კაპერერას კლდეებთან. ხალხის ბელადი, რომელზეც იტალიის ყველა კუთხეში მღეროდენ, მეფის ტყვე გამხდარიყო. მას აკრძალული ჰქონდა კუნძულის დატოვება.

1867 წელს, ოქტომბრის ღამეს, კაპერერაზე ქარიშხალი გამძვინვარდა. ზღვა აფორიაქებდა ხმელეთს, და იდგა უკუნი სიბნელე. ნაპირზე მიბმული მეთევზის ნავი საბრალოდ ქანაობდა ტალღებზე. ის ისე პატარაა, რომ შიგ მარტო ერთი კაცის მოთავსება შეიძლება. როდესაც შუაღამე გადავიდა, ძლიერმა ხელმა მოსწია ის ნაპირას ლოდებისაკენ. ძირზე დაეცა თეთრი პონჩო, და მასზე ადამიანი დაწვა. ამუშავდა ნიჩაბი, და ნავი მზვერავი ხომალდების სინათლეების გვერდით გასრიალდა.

ვინ იფიქრებდა, რომ ისეთ ღამეში სამოცი წლის მოხუცი, რომელსაც სხეულზე ცხრა ჭრილობა ჰქონდა, შესძლებდა ზღვაში შესვლას ასეთი ნაჭუჭით. ნავი იტალიასთან მიცურდა. აღელვებულმა მეგობრებმა სიხარულით მიიღეს გარიბალდი. რამდენიმე დღეში, ბიძია პეს მიერ ხელმოწერილმა მოწოდებებმა შეკრიბა მოხალისენი. 20 ოქტომბერს „წითელმა ხალათებმა“ გადაიარეს პაპის მფლობელობის საზღვრები რომის ოლქში და დაამარცხეს რა მისი ჯარი, დაიჭირეს ამ დიდი ქალაქის შესავალი.

გარიბალდი იმედოვნებდა აენთო მთელი იტალია, მაგრამ ვიქტორ-ემანუილმა დროზე მიიღო ზომები. მრისხანე ბრძანება უკრძალავდა მოსახლეობას გარიბალდის დახმარებას.

გარიბალდი დაატუსაღეს და ხელახლად გაგზავნეს კაპერერაში. ახლა თვით კუნძულზე იყვნენ ჟანდარმები.

1871 წ. 18 მარტს პროლეტარიატი იღებს ხელში ძალა-უფლებას პარიზში. მთელ ქვეყანას მოედო ცნობა პირველი მუშური სახელმწიფოს — პარიზის კომუნის — შესახებ. მაგრამ უკვე 21 მაისს საფრანგეთის თეთრი ჯარი, რომელმაც ზავი შეჰკრა გერმანელებთან, იჭრება პარიზში.

მთელი ქვეყნის ბურჟუაზია ლაფს ასხავს კომუნარებს. გარიბალდი გამოდის პარიზის კომუნის დამცველად. ინგლისის მუშათა დელეგაციას, რომელიც მოვიდა, რომ პატივი ეცა მისთვის, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლისათვის, გარიბალდიმ უპასუხა:

— მთელი ქვეყნის მუშებს მე ჩემს ძმებს ვეძახი.

გარიბალდიმ კიდევ თერთმეტი წელი იცოცხლა.

**ვ. ჩერევკოვი.**

# სოფლად მოვალთ მტკიცე რაზმი.

ზაფხულამდე ქალაქში ვართ
მშრომელთა და ქარხნის გვერდით,
რომ პატარა მშენებლებმა
გავიმაგროთ შრომით მკერდი.

უთვალავი საქმე გვიცდის,
უთვალავი ჩვენც ვართ ჯარი,
ვშრომობთ ერთად მომავლისთვის
სიხარულით და სიჩქარით.

ზაფხული და სიცხე დგება
მანქანებთან უფრო მძიმედ,
ჩვენც გვჭირდება დასვენება,
ჩვენ, შენების მონაწილეთ.

და მოვდივართ სოფლად ახლა
ქალაქიდან მოსულ ძმებად,
რომ სოფელსვე მოვახმაროთ
საზაფხულო დასვენება.

დასვენება არ გვწამს ასე:
გამოვეყოთ გლეხებს მარტო
და არც სოფლის ახალგაზრდებს
ახალი არ განვუმარტოთ.

ჩვენ ვინ გვნახავს უქმად მაინც
დაუდეგარ ბრძოლათ ნაჩვევთ,
ან ვინ არის ჩვენთაგანი,
რომ შრომაშიც უკან დარჩეს.

სოფლად მოვალთ მტკიცე რაზმი
ქალაქიდან ნაჩვევ შრომით,
რომ მუშათა ხმა და აზრი
გავიტანოთ გლეხებს შორის.

**ირაკლი აბაშიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოჩა*)

### მესამე ეპიზოდი.

გზატკეცილის ნაწილი. სოფლის ბოლოში გზის პირას დუქანი. პერსპექტივა: მთა-გორები, მდინარე; უფ.ია შორს — ქალაქი. მგზავრები მიდი-მოდიან, ზოგიერთი შედის დუქანში და ცოტა ხნის შემდეგ უკანვე გამოდის ნაყიდებით და განაგრძობს სვლას. ისმის ცხოველების ხმაური, ხან ძაღლის ყეფა. კულისებში ისმის გოჩას ძახილი, „იქ იბრძვიან, იქ კვდებიან, შენც მათთან, გოჩა, შენც მათთან!“ — ამ ხმებზე მგზავრები შეჩერდებიან, დუქნიდან გამოდის ჩახბაზურ და უერთდება მგზავრებს, ამათ ემატებიან ადგილობრივი გლეხები.

### მგზავრები, გლეხები და ჩახბაზურ.

**პირველი გლეხი.** რა ვქნა, რა დამართვია ი გივარგის ბიჭსა?

**მეორე გლეხი.** ეჰეი, დახედე... რარიგ მორბის... ხატი ხომ არ გასწყრომია!?

**ჩახბაზურ.** რის ხატი, კაცო, მაგის მამა ბუნტოვჩიკია, კავკავში რევოლუციასა შვრება, ჰალბათ ეგეც იქ მირბის, რაღა, არ გესმით, რა სიტყვებს ჰყვირის?!

**პირველი გლეხი.** ჰეი, შურდულივით არ მოქრის!

**მეორე გლეხი.** თითქოს უკან ვინმე მოსდევდეს მოსაკლავადო.

### შემოქრბის გოჩა.

**გოჩა.** თქვენ რაღას უდგეხართ, რა ვქნა, ქვემო სოფელი უკვე აჯანყდა და წითლებს ემხრობიან, მიკვირს, ეს სოფელი რაღას უყურებს?

**ჩახბაზურ.** რაღას უყურებს და შენ გელოდებოდა. არა, შე ლაწირაკო, ეგრე დიდებს რომ აბრახუნებ, გესმის, რასაცა როშავ?

**გოჩა.** შენ, ეი, ღიპიანო, გირჩევნია გაჩუმდე. მაშ რა გეგონა, გლეხების ყვლეფა სამუდამოდ შეგრჩებოდა?!. იქ იბრძვიან, იქ კვდებიან!. (გარბის)

**გლეხები.** სად მირბის, რამ გააგიჟა?

**პირველი გლეხი.** გადარეულა სწორედ! როკ მირბის, სად მირბის, ჰა?

**მეორე გლეხი.** ეი, ნუ კი ეხუმრები, გივარგის სისხლია!

**ჩახბაზურ.** ვა, ერთი მაგ ლაწირაკს ვერ უყურებთ!?. გაიქეცი, თორემ, მამა გიცხონდა, თეთრების ჯარებს შენი შეეშინდებათ, აი! კაცო, დიდების მადლობელი ვარ, რომ ეს ძუძუმწოვარა ბავშებიც ემატებიან იმ ზაკონის დამრღვევლებს...

**პირველი გლეხი.** ერთ პოლკოვნიკს მაინც გააგორებს და ისიც დიდი ამბავია მაგისგან. ერთი ეს მითხარი, ჩახბაზურ, ძალიან გეშინია ი ბოლშევიკებისა?

**ჩახბაზურ.** რასა ბრძანებ, მეშინია რომელია... იმათ გამარჯვებას რომ წარმოვიდგენ, მაშინვე ციებცხელება მემართება... ხუმრობა ხომ არ არის, თურმე ქვას ქვაზე არ უშვებენ. გლეხებს ხომ სულ ტყავს აძრობენ.

**მეორე გლეხი.** აბა რას ამბობ, ჩახბაზურ, მაშ ამასწინათ გივარგიმ მოაჭორა? კაცო, ისიც ხომ გლეხია, განა თავის ძმებს დაგვატყუებდა?

**ჩახბაზურ.** ჰა, რაო, ოქროს გორებს შეგპირდათ?.. ადამიანო, რით ვერ გაიგე, რომ ფულს ბევრი რამ შეუძლია. ანდაზა მაინც არ იცი, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო?

**პირველი გლეხი.** არა, ჩახბაზურ, რაც გინდა გვითხარი, და მაგას კი ვერ დავიჯერებთ... რას ლაპარაკობ, კაცო, დღე და ღამე სულ იმაზე გველაპარაკებოდა, მზად იყავით, მალე ჩვენი მტრები უნდა გავანადგუროთო...

**ჩახბაზურ.** მერე და ვინ არის ეგ შენი მტერი, ჰა? მე, ესა, ისა?

**მეორე გლეხი.** როგორ თუ ვინ არის, ვითომ არ იცი.

**პირველი გლეხი.** ვინა და მთავრობა!..

**ჩახბაზურ.** ცოტა ფრთხილად, ემანდ ჩაფრებმა არ გაგიგონ, თორემ, ხომ იცი იმათი ამბავი!

**პირველი გლეხი.** როგორ არ ვიცი, ამასწინათ გადასახადი შემომაწერეს, იმდენი, რომ მგონია ათი კომლი ვერ გადაიხდიდა... ვერ გადავიხადე და სულ მათრახით დამილილავეს სხეული... განა შევარჩენ იმ მწარე ცემასა... ერთი უკუღმა გადატრიალდეს ჩარხი!

**ჩახბაზურ.** კაცო, არ გეუბნები, ფრთხილად მეთქი? ვა, ვა, თქვენ გინდათ, რომ მეც დამიჭირონ?! მე გეუბნებით, ეს ქვეყანა გაყიდულია, ციმბირში გადაგვასახლებენ, ციმბირში... კიდევ კარგი, რომ მთელი სტრაჟა ქვემო სოფელშია წასული.

**პირველი გლეხი.** ოჰ მე, ესე უპატრონოდ როგორ დავრჩით, ჰა? ხალხო, მთელი გალმა მხარე აჯანყდა და ი წითელ ჯარს შეუერთდა, ჩვენ რაღა გგემართება, რომ ასე გავჩუმებულვართ!?.

**მეორე გლეხი.** ჩვენ აბა რა უნდა ვქნათ, არც ავი ვიცით, მაგ საქმისა და არც კარგი. აი წინამძღოლი რომ გვყავდეს, მაშინ სხვა საქმეა.

**გლეხები.** მართალია, მართალი!

**ჩახბაზურ.** ჰა, ბუნტს აპირებთ?! დღეს რა ჩემი სალოცავი გამიწყრა... ჰა, დავკეტო დუქანი, დავკეტო? პაჟალუსტა, აქედან წადით, თუ ძმა ხართ, დაიშალენით... ვაჰ, ვაჰ, თქვენში ღმერთი აღარ არის... ვა, ეს რაღა ამბავია!? (შემოდის დათო, მას თან მოსდევს რამდენიმე გლეხი და სოფლის მწერალი წკიპურტა. უკანასკნელი ჩახბაზურთან მივა).

**დათო.** ჩვენც იქ, ჩვენც იქ უნდა წავიდეთ!

**გლეხები.** სად, სად უნდა წავიდეთ?

**დათო.** იქ, სადაც გოჩა—ბაიკადებზე, სადაც ჩვენი ძმები, ჩვენი შვილები ებრძვიან საუკუნოებით შექმნილ უსამართლობას, ჩაგვრა-მონობას და...

**წკიპურტა.** აი, თურმე რისთვის მორბოდა ისე გამწარებული... სად და რა მიზნისთვის მოუწოდებ ამ უვიც გლეხობას, იქნებ გგონია, რომ დაგიჯერებენ და გამოგყვებიან!?.

**ჩახბაზურ.** ვა, დავითჯან, შენც იმ ქარაფშუტა ახალგაზრდებს აჰყევი!?. შენც ბუნტოვჩიკი ხარ!?

**დათო.** ძმებო, გლეხებო, მომისმინეთ. ეს წურბელა...

**წკიპურტა** (აწყვეტინებს). არ დაუჯეროთ, თქვენ მაგას დაღუპვის გზაზე მიჰყახართ, ეგ დაქრთამულია სისხლის მსმელი ბოლშევიკებისგან. არ დაუჯეროთ! (გლეხებში გუგუნი, ყოყმანი).

**დათო.** ძმებო, მომისმინეთ! ხალხო, მისმინე!..

**გლეხები.** მოვუსმინოთ დათოს, მოვუსმინოთ, მწერლის ნურაფერი გჯერათ, ეგ ჩვენ მხარეს არასდროს არა ყოფილა... მოვუსმინოთ, მოვუსმინოთ!.. (მწერალი და ჩახბაზური ჩუმად დუდუნებენ და ხელებით რაღაცას ანიშნებენ ერთიმეორეს).

**დათო.** ხალხო, მისმინეთ .. მწერლის საპასუხოდ მე ახლა დრო არა მაქვს! პასუხს ეგ სოფლისგან მიიღებს... მე დავალება მაქვს გადმოგცეთ, რომ დღეს წყდება ყოფნა-არყოფნის საკითხი, დღეს უნდა გადაწყდეს მშრომელთა ბედიღბალი...

(წკიპურტა მიიპარება დასასმენად) კარგად ხედავთ, რა მელაკუდები მიშლიან ლაპარაკს... აგერ კიდეც გარბის დასასმენად, მა-

*) დასაწყისი იხ. „პიონერი“ № 10-11.

გისი ხელობა ეგ არის... დეე, დაგვასმინოს, საშიში არაფერია... (ყოყმანი გლეხებში).

**პირველი გლეხი.** აი, შე ზინტლიანო წკიპურტავ, ცოტა დაგვაცა!

**დათო.** საშიში არაფერია მეთქი, მაგათი დღეები დათვლილია. დღეს ძალა თქვენს ხელშია. საკმარისია ერთი ძლიერად შეუკივლოთ, და მუქთახორები თქვენს ფერხთ განერთხებიან...

**ჩახბაზურ.** ვა, ნამდვილი ბუნტია, რაღა, მე და ჩემმა ღმერთმა! სწორედ გითხრა, დავითჯან, შენ გან, უჩიტლისაგან, მაგ არეულობის გაკეთებას არ მოველოდი... მაშ გვღუპავ, რაღა, გვღუპავ!?

**დათო.** რასაკვირველია, თქვენთვის, ვაჭრებისა და მენშევიკებისათვის, ხელსაყრელი არ არის... შენ კარგად იცი, რომ აი, მანდ, მაგ დუქანში, სადაც ათეული წლობით ჰყვლეფ ღარიბ გლეხობას, აუცილებლად კოოპერატივი მოეწყობა.

**გლეხები.** მართალია, ნამდვილ ა...

**ჩახბაზურ.** არა, დავითჯან, განა მე ეკეთი ვინმე ვარ?!. მე თქვენი დარდი მაწუხებს, რომ ყველას გადაგასახლებენ და მეც ზედ მიმაყოლებენ.

**დათო.** თვალი გაახილეთ, ხმა ამოიღეთ, გაერთიანებული ძალებით ვეკვეთოთ მტერს, და გამარჯვება მშრომელ ხალხს დაჩება!..

**გლეხები.** ჩვენ წინამძღოლი არა გვყავს, ჩვენ ხელმძღვანელი გვინდა..

**დათო.** ხალხო, ძმებო!.. თქვენს ვეფხოს ენდობით? (მიუთითებს პირველ გლეხზე)

**გლეხები.** როგორ არ ვენდობით, მაგას მთელ სოფელს ვენდობთ! ვენდობით, ვენდობით!

**დათო.** მაშ გყოლიათ წინამძღოლი... რადგან ენდობით, ეგ გიხელმძღვანელებსთ, ეგ მიგიყვანსთ იქ, სადაც მიგველის სახელოვანი, ბრძოლაში გამობრძმედილი წითელი ჯარი.

**პირველი გლეხი.** ძმებო, წავიდეთ მათთან, მივეშველოთ ჩვენებს!

**ყველანი.** წავიდეთ, წავიდეთ!

**პირველი გლეხი.** მაშ ახლა კი სახლებში, სახლებში. აისხით იარაღი... ვისაც კი რა მოგეძებნებათ... ჩვენ დღესვე უნდა გავჩნდეთ მათთან... (გლეხები ხმაურობით გადიან სხვადასხვა მხარეს).

**ჩახბაზურ** (მარტო, გამოშტერებული). ხალხო, მოიცათ, მოიცათ მეთქი... დარიგება უნდა მოგცეთ... ამისთანა ცეცხლი გაგიგონია?!

**თ ა ვ ა დ ა ძ ე.**

**თავადაძე** (შეშინებული). ჩახბაზურ, ჩახბაზურ, არ გესმის, კაცო?!

**ჩახბაზური** (გამოერკვევა). ჰა... რაო... ერთი ეს მითხარი, სიზმარში ვარ თუ მართლა ბუნტია?

**თავადაძე.** რაო, ბუნტიო? მითხარი, თუ ღმერთი გრწამს, რასა ყბედობდა ის გამოყეყეჩებული მასწავლებელი?.. დავიჯერო, ისიც რევოლუციონერია?

**ჩახბაზური.** არა, კნიაზჯან, თუ ძმა ხარ, ნუ დაიჯერებ. რევოლუციონერი რომელია.. მთელი სოფელი გადაიბირა... ვა, თქვენ არაფრის დარდი არ გაქვთ? (თავადაძე გაშტერებული დგას) არ გესმით?.. დუქანი უნდა წამართონ... ახლა აღარ იკითხავ, ბლაღაროდნი წოდებას რას უპირებენ? მიწები ჩამოვართოთო... (თავადაძე ჩაიკეცა, გული შეუწუხდა) ვა, ეს რა დაემართა, გულის რაზრივი ხომ არ დაემართა, ჰა?.. (გამოიტანს წყალს და ასხურებს) კნიაზ კვინტრიშ, კნიაზ, კნიაზ!..

**თავადაძე.** ჰმ... როგორ . ჯერ არ მომკლეს?.. მადლობა ღმერთს!..

**ჩახბაზურ.** მადლობა ღმერთს, ძლივს არ გამოვაბრუნე!

**თავადაძე.** ვაი, ოი, ვუი!.. მართლა, რაღას ვუყურებ, გავიქცე და ჩვენებს ყველას შევატყობინო, რომ დღესვე გავიხიზნოთ სადმე. თორემ.. (წამოხტება და გარბის)

**ჩახბაზურ.** ეგ არის და ძველმა ცოდვებმა დავთრები დაიკარგვინა, მაგრამ მე რაღა ვქნა, სად წავიღო ამოდენა საქონელი? დავიღუპე, რაღა, დავიღუპე!..

**უფ. ჩაფარი, წკიპურტა და უმც. ჩაფარი.**

**ჩახბაზურ.** დაიგვიანეთ. რაღა დროსია, ვიღუპებით...

**წკიპურტა** (უფ. ჩაფარს საიდუმლოდ). ივანე, არ დაგავიწყდეს ჩვენი პირობა... ნახევარი ჩემი უნდა იყოს...

**ჩახბაზურ** დავიღუპეთ, დავიღუპეთ!..

**ივანე.** რასაკვირველია, დავიღუპებით, როდესაც სოფელს შენისთანები ეყოლება.

**ჩახბაზურ** რა დროს ხუმრობაა, ივანჯან, გლეხები აჯანყებას აპირებენ.

**ივანე.** ყველაფერი ვიცი, ყველაფერში შენა ხარ დამნაშავე. ჩვენ ნამდვილი ცნობები გვაქვს იმის შესახებ, რომ შენ აგროვებდი რევოლუციონერებს და მართავდი ფარულ კრებებს...

**ჩახბაზურ.** ვა, ვა, მე ვმართავდი კრებებს? რასა ბრძანებ, ივანჯან, განა მწერალმა არ იცის, თუ როგორ მიყვარხართ მთელი პრავიტელსტვო? აი, ჰკითხე, რაღა!

**წკიპურტა.** მე აქ არაფერ შუაში ვარ...

**ჩახბაზურ.** ვა, ესეთი ცეცხლიც გაგიგონია?! ვა, შენც მღალატობ? განა მე თვითონ არ გაგგზავნე, ბუნტსა შვრებიან და შეატყობინე მეთქი!?

**ივანე.** ლაპარაკის დრო აღარ არის... შეიპყარით... ჯერ შენ ჩამოგახრჩობთ და მერე, დეე, აჯანყდენ გლეხები.

**წკიპურტა** ივანე, იქნებ როგორმე ვაპატიოთ... (ჩახბაზურს ანიშნებს, რომ ქრთამი მისცეს).

**ჩახბაზურ.** ივანჯან, უკაცრავად, პირჯვარს გეფიცები, სულ ტყუილი ცნობები მოუტანიათ თქვენთან... აი შეიძლება, რომ (ფულს ჩაუდებს ხელში, და ივანე უცებ გააქანებს ჯიბეში)...

**წკიპურტა** (ჩაახველებს). აპატიეთ, აპატიეთ... საკვირველია პირდაპირ, შენისთანა პატიოსან ადამიანზე ვინ აწვდის ეგეთ საზიზღარ ცნობებს?

**ჩახბაზურ.** შენ ეგა სთქვი და...

**ივანე.** რა გაეწყობა, რადგან მწერალი მთხოვს, ორ სამ დღეს მოვიცდი, საქმის გამორკვევამდე. (ჩუმად ჩახბაზურს) ამ ფულს კი მე ხაზინაში გადავგზავნი ჯარიმის სახით.

**ჩახბაზურ.** ვიცი, გენაცვა, განა არ ვიცი!? (განზე) ისემც აგიშენდება ოჯახი... (კულისებში ხალხის ხმაური, რომელიც თანდათან ძლიერდება). ვაიმე, ეს რაღა ამბავია?!. (შევარდება დუქანში).

**ივანე.** მე ვიცი, რა ამბავიც არის... აბა, თუ ბიჭები ხართ, თავს უშველეთ...

**წკიპურტა.** ივანე, ჩვენი პირობა... ჩემი ნახევარი, ჩქარა ფული...

**ივანე.** რა დროს ეგ არის, ირბინე, რაც ძალი და ღონე გაქვს. (გარბიან; სცენაზე გაირბენენ თავადი ცოლით, მღვდელი ხურჯინით და „უფალო შემიწყალეთი"; კულისებში საშინელი ხმაური და ღრიანცელია).

(გაგრძელება იქნება) **ვ. კობელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელ № მდინარის ნაპირასაა გაშენებული. მარჯვნივ საყანე ველებია გადაშლილი, მის იქით კი საძოვრები, ჭალები და ბოლოს დამდგარ წყლებში თავჩაღუნული ხაიბები...

მარცხნივ ამართულია ქვაგორაკი, რომელსაც ლაღუმით ამტვრევენ... მოშორებით გაშენებულია ბარაკები... ახლახან აგებულ იქნა კლუბი და კლუბში რადიო მოაწყეს...

ალიონიდან ისმის დინამიტების მწყობრი აფეთქება და ჩამოცვენილი ქვების ხშუილი... აფეთქების შემდეგ ჟივილ-კივილით გამორბიან მუშები საფარებიდან. ქვებს ჭყრიან ხელსაგორებელში და მერე მიქრიან რელსებზე და ასაგები რკინის გზის ხიდთან ყრიან.

იქით, მოშორებით, გორაკთან დგას შავად მხრჩოლავი ესკავატორი*) № 4874 და თხრის მიწას. უცებ მანქანა მომეტებულად ამოჭყრის ბოლს, ბორბლები უფრო სწრაფად ატრიალდება, ცოტა ხნის შემდეგ აჩხრიალდება მაჯის სიმსხო ჯაჭვი. ნელ-ნელა ეშვება ზემოდან თუჯის კბილებიანი ყუთი. მემანქანე გადასწევს ბერკეტს, ყუთი კბილებით მიწაში იჭრება. მანქანა ქოშინებს, ბორგავს გახელებამდე, ბოლს ჭყრის. ცოტა ხნის შემდეგ ისევ აჩხრიალდება ჯაჭვი. ჯაჭვი მიიწევს ზევით და მიაქვს მიწით ყუთი. გადასწევენ ბერკეტს მარჯვნივ, და ესკავატორის დინგი მოტრიალდება გვერდით დამდგარ ნახევრად ღია რონოდებზე; მემანქნის თანაშემწე გამოსწევს ბაწარს, რომელიც ყუთის ფუძეზეა მიმაგრებული, და მ წა ეყრება რონოდებს.

და მეორდება ასე რიგ-რიგად.

ცოტა ხნის შემდეგ მიაკივლებს ორთქლამავალი, და რონოდები მისრიალებს ვერცხლისფრად აბრწყინვებულ ნახევრად მოღუნულ რელსებზე.

მიწას ხიდთან ჭყრიან. იქ უამრავი მუშა ფუსფუსებს. ზოგი დამბებს აგებს, ზოგი ბეტონის ამოსაყვან მანქანებთან მუშაობს...

ყრია ქვიშა, კირი, ცემენტი.

ზილავენ კირს, ცემენტს, და დაქანებულად დაკიდულ ბაწარზე რიგ-რიგად მიქრიან ცემენტით სავსე ვედროები.

ქვევით მუხლებამდე დაყრილ სილაზე დაფენილი ვიცრებით მიაგორებენ ღორღით სავსე ხელგოგორებს და სცლიან ხიდთან.

ხიდის ზემოთ საწყობია. საწყობის ეზოში ყრია ძელები, ფიცრები, მორები, მავთულები, რკინის ნაჭრები, ცალიერი და სავსე ცემენტის კასრები.

მზე საშინლად აჭერს. ხურდება ქვები. ხურდება ჰაერი.

ოფლი ყველას ხვითქად გადადის შუბლზე. ჩაჩეხილ ქვებში ნახევრად წელმოღუნული მუშები ძლივს იმაგრებენ ფეხებს მხურვალზე ქვებზე. თითქოს სწვავს ფეხებს.

იღუნებიან წელში უფრო, იმართებიან ისევ...

ეს იმიტომ, რომ დინამიტის ჩასაწყობად უზარმაზარი ლომით ხვრეტენ ქვებს. ნელი ყრუ დარტყმით თანდათან მატულობს სიღრმე.

— ჩაგუ! ადრე მოგისვენია! — მიაძახა ერთმა, როცა იხილა ის ქვაზე ჩამომჯდარი, რომელიც თუთუნს აკეთებდა...

— ერიჰა! დამცინი? რა გაეწყობა, მოვხუცდი, ბიძია! როცა მკლავებში ღონე მქონდა და ძარღვებში სისხლი, მუშაობაში ვერავინ მჯობნიდა, მაგრამ ახლა რა ვუყოთ!

— არა, ჩაგუ! მე ისე, სხვათა შორის გეხუმრე!

— შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, ცხოვრება არ გინახავს, ალბათ არც კი გაგიგონია, თუ რა პირობებში ვმუშაობდით 1918 წელს. არც კი გინახავს, თუ რა უბედურება ტრიალებდა მაშინ!

— ჩაგუ! მოყევი ერთი!

— მოყევი! მოყევი! — მიაძახეს მუშებმა.

ჩაგუმ ყალიონი გააბოლა.

## მინდვრად

როცა გვიხდება შრომა —
მინდვრად თესვა და ხვნა,
გვივაჟკაცდება უფრო
ახალგაზრდული ხმა.

ჩვენ მარჯვენა და რწმენა
შეუდრეკელი გვაქვს,
თუნდაც მკერდებით გავთხრით
მინდვრად რუსა და არხს.

ველად სხვაგვარად ყოფნა
არ გვინატრია, გვძაგს...
ისე მოვუვლით თავთავს,
როგორც ტოლსა და ძმას.

შალვა, ელიზბარ, გივი —
ყველა ხომ მედგრად ხართ?..
ზოგმა მისდიე ტრაქტორს,
ზოგმა კი ნიშა ხარს.

აღფრთოვანება ჩვენი,
რომელიც მუდამ გვდევს,
გავუზიაროთ ველებს,
გავუზიაროთ მზეს.

მიტომ შევყრილვართ ერთად
ჩვენ, უთვალავი ძმა,
რომ უთვალავი დავდგათ
ოქროს ზვინი და ძნა.

ვიქტ. გაბესკირია.

*) ესკავატორი—მიწის მთხრელი მანქანაა.

— დაიცათ, თქვე მელაკუდებო! ჯერ სამუშაოს მოვრჩეთ და მერე! შაბაში მალე იქნება. ერთი აფეთქება უნდა მოვასწროთ!

— კარგი აზრია!

— აბა, ბიჭებო! ივარგეთ!

უფრო ხალისიანად მუშაობენ ახლა, მზე თუმცა წინანდებურად ისევ აჭერს. დინამიტები ყველგან ჩააწყეს. აინთო პატრუქი, ყველანი საფარისაკენ გაიქცენ. ლილისფერი ალი ნელა გაჰყვა პატრუქს.. უცებ თითქოს ქვა-ქვას მიემსხვრა, გორა გორას, იჭექა, იქუხა, ავარდა შავი ბოლი, და ბოლში ხშუილით, ზათქით, ხმაურით ჩამოცვივდა ქვები.

ეს იყო უკანასკნელი აფეთქება, და შაბაშიც გაისმა.

***

ოფლით გაწუწულ, სველ-პერანგა ჩაგუს ირგვლივ ჩრდილ ქვეშ შემომსხდარიყვნენ ახალგაზრდა მუშები. ჩაგუ დინჯად, აუჩქარებლივ უყვებოდა ამბავს.

ჟ. სიღნაღი. ამხ. ს. ჯუღელის სახელობის ნ/პ კოლექტივის საბჭო.

— ეს იყო 1918 წელს. სწორედ მაშინ დაიწყო პირველად ამ გზის კეთება. ეს ამბავი, რომელსაც მე მოგიყვებით, მაშინ მოხდა, როცა რვა რონოდით მოიყვანეს აქ გერმანელი ტყვეები. მაშინ არ იყო ესკავატორი, მხოლოდ გერმანელები და ჩვენ ვთხრიდით მიწას ბარებით და შემდეგ ურმებით ეზიდებოდენ აქედან. ამ მდინარეზე იყო ხის უბრალო ხიდი, რომელიც ყოველ ადიდებაზე მიჰქონდა წყალს და ხანდახან კი გადაბრუნებული, წაქცეული რჩებოდა.

სამუშაოს მეთაურობდა ვიღაც ინჟინერი ტისოვი, ადამიანი, რომელიც მხოლოდ რელსებზე ფიქრობდა. სულაც არ აწუხებდა მას ჩვენი მდგომარეობა.

თქვენ, ბიჭებო, ადგილობრივი არა ხართ და არ გეცოდინებათ ტოტია გულუა. ის ჩემთან მუშაობდა. მოსახვევთან გორაკი რომაა ჩამოტეხილი, ის მაშინდელი ნამუშავარია.

გორაკზე რამდენიმე კაცი მუშაობდა. ტოტიას ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი მალარია და, მიუხედავად სისუსტისა, დაღლილობისა, მაინც მუშაობდა, რომ გამოეკვება წვრილი ცოლ-შვილი.

აფეთქებები ორ წუთად ხდებოდა.

ერთი ქვემო ფენებიდან და მეორე ზემოთ, რომელიც რამდენიმე წუთით უფრო გვიან აფეთქდებოდა.

ჩვენ ზედა ფენაზე ვმუშაობდით.

ის დღე ცხელი, მწველი იყო.

დინამიტები ყველგან იყო ჩაწყობილი. ყველამ მიაშურა საფარს. ტოტიამაც აიღო თავისი ჯუბა და ის იყო უნდა წამოსულიყო, რომ გაისმა საშინელი ჭექა-ქუხილი. ეს იყო ქვემო ფენებიდან. ავარდა ბოლი, მას მოჰყვა მეორე წყება აფეთქების, და კაცი ქვებს ქვეშ მოექცა. ისმოდა ძახილი, მაგრამ შემდეგ მხოლოდ ქვების ხშუილი, ცვენა აყრუებდა მიდამოს. როცა ყველა ჩაწყობილი დინამიტი აფეთქდა, მუშები მოწყდენ საფრებს და გაექანენ მისკენ.

ქვებიდან მხოლოდ ამოჩრილი, დაჟეჟილი მარჯვენა მკლავი მოჩანდა. გადააწყეს ლოდები და ამოიღეს ტოტია. მას მკერდი ერთიანად ჩამტვრეოდა, გაჭეჭყილი თავიდან გადმონთხეული ტვინი, სისხლში არეული, შუბლზე ეცხო. მარჯვენა თვალი საბუდედან ამოვარდნოდა და უკანასკნელი ძარღვით დაკიდებული ყურთან ქანაობდა.

ასე დაიღუპა საბრალო ტოტია.

ამის შემდეგ ტისოვმა აიყვანა შისი ბავში ჯაგა, რომელსაც დღიურ ლუკმაპურს აძლევდა.

მუშები ისევ მძიმე პირობებში ცხოვრობდენ. რაც შეეხება გერმანელ ტყვეებს, მათ ძვალ-რბილში გაუჯდა სამეგრელის მალარია და დღე-დღე იღუპებოდენ ეს უცხოელები.

რაც შეეხება ჯაგას, ის ტისოვთან მსახურობდა. მას აბუჩად იგდებდენ ტისოვის შვილები.

— ფუი, რასა ჰგავს!

— ფუი, რა პირდაუბანელია!

ჯაგა კი თვალებაცრემლილი, ნახევრად მობუზული იდგა კუთხეში და მისი სუსტი სახე, ჩავარდნილი შავი თვალები და შიშისაგან მუდამ აცახცახებული ხელები, ფერმკრთალი, უსისხლო ბაგეები თითქოს ჩურჩულებდენ:

— რას მერჩით! მე ობოლი ვარ! მე ხომ არა დამიშვებია რა! რატომ მიცქერით ასე! მე მამა არ მყავს, დამეღუპა და თქვენ კი დამცინით!

ერთხელ ტისოვის მეუღლემ ჯაგას გარეცხილი თეფშები გაატანა.

მან ნელა აიარა კიბის საფეხურები. მიდიოდა, ეშინოდა არ დაცემულიყო და არ გაეტეხა, რითაც მხოლოდ მათ წყრომას დაიმსახურებდა.

ამ დროს ტისოვის შვილები კარებთან მიმალულიყვნენ, რომ ჯაგა შეეშინებინათ.

ჯაგამ ნელა გააღო კარი თუ არა, ბავშები აბღავლდენ უცნაურ ხმაზე და ამასთანავე წინასწარ დაჭერილი კატა ფეხებში ჩაუგდეს.

— ვაიმე! — მიაყვირა ჯაგამ და შიშისაგან იქვე გაიშხლართა. თეფშები ერთიანად დაემსხვრა.

ამის შემდეგ გამოცვივდენ ბავშები და მას ქოქოლა დააყარეს.

— მშიშარა!

— მშიშარა!

ჯაგამ მხოლოდ აცრემლილი თვალებით შეხედა.

— თეფშები რომ გატეხე, დაიცა დედამ რა გიყოს! — ემუქრებოდენ ისინი.

— მერე, ჩემი ბრალი ხომ არ არის! — აკანკალებული ხმით უპასუხებდა ჯაგა.— ცოტა ხნის შემდეგ მოვარდა ტისოვის მეუღლე გაგულისებული...

— რომელი ხელით მოგქონდა, მაჩვენე ხელი!

— ამით! — უპასუხა ჯაგამ გულუბრყვილოდ და ხელი გაუწოდა.

ტისოვის მეუღლემ სუსტ, გამხდარ ხელისგულზე სველი წკნელი აათამაშა.

ბავშს საშინლად სტკიოდა ნაცემი.

— აჰა, კიდევ გატეხ? — ჰყვიროდა გაკაპასებული ქალი.

— ვაიმე, დედა! მამა! — გაჰკიოდა ბავში, მაგრამ მშველელი არავინ იყო. ბოლოს ზურგზე ერთხელ კიდევ გადააწნა წკნელი და გარეთ გააგდო.

მან ვერ აიტანა ცუდი პირობები, აბუჩად აგდება, დღემუდამ მუშაობა, ცემა და ერთ ღამით, როცა მერეხი სოფელს ანგრევდა, წვიმა რეცხავდა ყველაფერს, — საბრალო ჯაგა გამოიპარა ტისოვის ოჯახიდან.

თვალები ცრემლით ევსებოდა და ამიტომ ხშირად ბნელში ჩაფლულ საგნებს ვერ არჩევდა.

ელავდა თვალწინ, ელავდა წყალგაღმა, ქუხდა მთებს იქით, და პატარა გული თრთოდა საშინლად.

მიტლაპუნებდა ამ ბნელაში ერთადერთი, მარტო და ხშირად ბორძიკობდა.

— ვაიმე, დედა! — შეკივლებდა და ეცემოდა ტალახში.

წვიმდა. ისევ ელავდა. ერთიანად ჩაწუწული, დასვრილი ჯაგა ძლივს მიათრევდა ფეხებს. როგორც იყო, მოახწია ამ მდინარეს. მდინარე ადიდებული იყო და საშინლად ღმუოდა. მაშინ აქ ბოგირი იყო გაკეთებული, და ისიც მოადგა ბოგირს. მან სიფრთხილით შესდგა ფეხი ბოგირზე, მაგრამ შეეშინდა და უკან დაიწია... თითქოს ეს ბნელი ღამე შემაშინებლად იყო ჩამომდგარი. მან მეორეჯერ შესდგა ფეხი. გული საშინლად აუკანკალდა. ქვეშ ღრიალით მიქროდა მდინარე, მაგრამ მას თითქოს არ ეშინოდა. აჰა, შუამდე მიაღწია... ახლა გული თამამია და უფრო გაბედულად დგამს ნაბიჯს. მაგრამ უცებ იელვა თვალწინ, წყალგაღმა. იქუხა, იჭექა.

ბავშს თვალი აუჭრელდა.

ძალაუნებურად ტანი მარჯვნივ გადაეხარა, დაუსხლტა ფეხი და მდინარეში გადაეშვა, მეორე დღეს კი რიონის შე'ართავთან იპოვნეს დამხრჩვალი.

დაამთავრა მოთხრობა ჩაგუმ.

— ახლა, ჩემო კარგებო, საქმე სულ სხვანაირადაა! ჩემი შვილი, ჯაგას ამხანაგი, ახლა კომკავშირელია და დღეს აქ მოვლენ საექსკურსიოდ, ამ რკინის ხიდის დასათვალიერებლად.

ყველას სახეზე რატომღაც სევდის ხაზები გადაიკლაკნა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გაისმა საყვირის ხმა, და ისინი ისევ შეუდგენ მუშაობას...

აწყობდენ დინამიტებს და მერე კვლავ ისმოდა მწობრი აფეთქების ხმები.

**არჩილ ჩაჩიბაია.**

# როგორ იდღესასწაულა პირველი მაისი ფრანგის გიჟმა ლიულუმ

საფრანგეთში არ შეიძლება თავისუფლად პირველი მაისის დღესასწაულობა: იქ ხომ არაა დამყარებული ჯერ პირველი მაისი, მაგრამ ლიულუმ და მისმა მეგობრებმა, მუმუსიმ დ მინალმა, გადასწყვიტეს ედღესასწაულნათ პირველი მაისი. ისინი შეთანხმდენ არ წასულიყვენ სკოლაში, თუმცა იცოდენ, რომ ამისათვის შესაძლებელი იყო ისინი დაესაჯათ, სკოლიდან გამორიცხვაც კი შეეძლოთ.

პირველ მაისს დილით ლიულუ, მუმუსი და მინალი დემონსტრაციაზე წავიდენ.

შეიჭრენ დიდ შენობაში, სადაც მიტინგი იყო.

მიტინგის შემდეგ ბიჭუნები მუშებთან ერთად სახლიდან ქუჩაში გამოვიდენ.

წითელი დროშები ფრიალებდა ზღვა ხალხის თავზე.

– პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

— გაუმარჯოს პირველ მაისს! ძირს ბურჟუაზია! — ეწერა პლაკატებზე, ხოლო ქუჩაში ამ დროს დემონსტრაციას უკვე ელოდა საფრანგეთის პოლიცია.

მომზადებული იდგენ ქვეითი პოლიციელები მოლურჯო მუნდირებით, ყველა თითქმის შერჩეული, ერთი ზომის, ფართომხრებიანი. კედელსავით მოდიოდენ პოლიციელები ველოსიპედებით. ადგილზე ფეხებს ურტყავდენ ცხენოსანთა ცხენები.

„ძროხის თავები" — ასე უწოდეს ფრანგმა მუშებმა პოლიციელებს. ველოსიპედზე მყოფ პოლიციელებს კი ასეთი ზედმეტი სახელი დაარქვეს: „ძროხები თვლებზე".

პოლიციელები ელოდენ სულ მცირე საბაბს, რომ დემონსტრაცია დაეშალათ.

მუშებმა დაიწყეს „ინტერნაციონალის" მღერა. პოლიციელები მხეცებსავით მისცვივდენ მათ. საპასუხოდ ამუშავდა ჯოხები, ქვები. მუშა-ქალები თავს იცავდენ ქოლმებით. მუშები გაბრაზდენ. თითოეული იბრძოდა, რითაც შეეძლო.

მაგრამ შეიარაღებული პოლიცია უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ბევრი დაიჭირეს. წაიყვანეს სამმართველოში და იქ საშინლად სცემეს. ლიულუს მამას ხელი მოამტვრიეს.

მეორე დღეს ლიულუ, მუმუსი და მინალი სკოლაში გამოცხადდენ.

— რატომ არ იყავით გუშინ? — მრისხანედ შეეკითხა მასწავლებელი ქალი.

მუმუსი გაწითლდა და თავი ჩაღუნა. მან არაფერი უპასუხა.

-- მე არ ვიყავი იმიტომ, რომ თავი მტკიოდა, — სთქვა მინალმა.

ლიულუს არ უნდოდა ეთქვა ტყუილი. მან აიღო თავი და მთელი კლასის გასაგონად სთქვა:

— მამაჩემთან ერთად ვდღესასწაულობდი პირველ მაისს! მამაჩემი მუშაა. პირველი მაისი ყველა მუშის დღესასწაულია.

როდესაც ლიულუ მოვიდა სკოლიდან შინ, მან უამბო მამას, თუ როგორ უპასუხა ბურჟუაზიულ მასწავლებელ ქალს.

დღეში ორჯერ მაინც აიძულებდა მამა შვილს, რომ გაემეორებინა ეს ამბავი.

# ტრაქტორი



— ნამდვილად ჩვენებურებია.

— დათო, თუ ძმა ხარ, თვალი ავარიდოთ, თორემ ქვეყანას შეგვიყრიან.

— ახლა გვიანაა, გოგი, მაგაზე ლაპარაკი, აქამდე უნდა გვეფიქრა.

— აი, იმ ბუჩქებს მაინც ამოვეფაროთ.

— რატომ, დასამალი რა გვაქვს?

— ბიჭო, აუტკივარი თავი რათ ავიტკიოთ? ჯერ ქალაქში არ ჩავსულვართ და შეიძლება კი უკან დაგვედევნონ, ძალით დაგვაბრუნონ შინ. დათო, ცოტა ხნით მაინც გადავიდეთ გზის იქით, და ურმებიც გაივლის.

— გეტყობა, გეზარება ქალაქში ყოფნა და სწავლა.

— არა, მაგრამ...

— სთქვი, ნუ გერიდება. შემდეგ საყვედურსა და წუწუნს სჯობია ახლავე მითხრა, რომ თავი არა გაქვს და სიარული არ შეგიძლია.

— მინდა, როგორ არ მინდა, მაგრამ უკეთესი იქნებოდა ჩვენი სახლიდან გამოქცევა ჯერ არ გაეგო ვისმეს და რამდენიმე დღე მაინც დაფარული ყოფილიყო.

— გოგი, უნდა შევეჩვიოთ ყოველივე ახალ ამბავს, შეიძლება ჩვენთვის სრულიად მოულოდნელს და სახიფათოსაც. ტყუილად კი არ გვეძახიან მე და შენ პიონერს. იცი, ვისა ჰქვიან ნამდვილი პიონერი? პიონერობა პირველობას ნიშნავს; პიონერს დაუშრეტელი წყურვილი და მისწრაფება უნდა ჰქონდეს სწავლა-ცოდნისადმი, უნდა იცოდეს ფიქრი, უნდა შეეძლოს მშრომელი ხალხისათვის თავის გამეტება, თავის განწირვა.

— მართალია, მაგრამ ბოლოს სინანულს სიფრხილე სჯობდა.

— ეეე... უხეირო, მშიშარა ყოფილხარ! მომყევი აქ,—თავისდა უნებურად დათომ მუშტი წაარტყა გოგიას და ჩქარი ნაბიჯით გაიძოლია, ამასობაში ცალიერმა ურმებმაც ნელი სვლით გვერდი აუხვია ჩვენ მგზავრებს; ლაპარაკში გართულ გლეხებს ზედაც არ შეუხედიათ დათოსა და გოგისთვის.

— აკი გითხარი, ჩვენებურები არ არიან მეთქი! — უსაყვედურებდა დათო თავის მეგობარს და თან თვალწარმტაც და საკვირველ ამბავს მოუთხრობდა.

— აი, ეს ის ადგილია, მე რომ გელაპარაკებოდი. შეშის ურემზე ვყავდი მამაჩემს. ქალაქში მივდიოდით სავაჭროდ და როცა ამ ადგილთან მოვედით... ხედავ, ხედავ დიდ მინდორს? ეს არის დიდმის მინდორი. ხომ გაგიგონია? სავსე იყო აქაურობა ხალხით. აგერა იმ გრძელ მიწას ჩვენებური ექვსულლიანი გუთანი ხნავდა, აქეთ მიწას კი ტრაქტორი. საკვირველი იყო: სატირალი და გასახარიც. ორი ამბავი: ერთი ძველი და მეორე ახალი. ეროი მეორეს სამკვდრო - სასიცოცხლოდ ჩასჭიდებოდა. ძველი გუთანი, ჩვენი გუთანი, რომლითაც ჩვენი მამა-პაპა ცოცხლობდა, ამაყობდა და თავს ირჩენდა, გრძელ ჭიაყელასავით გაჭიმულიყო, ძლივს იძროდა, ოფლში იწურებოდა, მაგრამ ვერას გამხდარიყო. საცოდავი და უბედო იყო ის. ხუთი თუ ექვსი კაცი დასტრიალებდა თავს. ჭაპანდაჭიმული საქონელი გუთნის სიმძიმით წელში წყდებოდა, მაგრამ ამაოდ. ტრაქტორზე კი სულ ერთი კაცი იჯდა. გუთნისდედაც ის იყო და მეხრეც. ერთს დასწევდა რაღაცას, და ტრაქტორი გუგუნით წინ მიიწევდა. მერე როგორი სიჩქარით, არ იტყვი? კარგი ნაბიჯით ვერ დაეწეოდა კაცი. მე ვიცი, ტრაქტორზე მომუშავე მემანქანეს ხარების შეტევა, ან სახრის დარტყმა დასჭირდებოდა! საცოდავი მუშა საქონელი, უენო და უსიტყვო, სახრის ტყუილ-უბრალო მოქნევაზეც კი წელში იხრება ხოლმე. მე თვითონ ნახირში ვარ გაზრდილი და ჩემ მიერ დარტყმული ხარის ცოდვით ხშირად ცრემლი მდენია თვალიდან. ტრაქტორზე მომუშავე მეგუთნეს კი არაფრის დარდი არა აქვს. იქ მკვდარი რკინა და ნავთია ამუშავებული. აბა ვის რა ეტკინება, ან რა ეწყინება? მაგრამ მუშაობით თუნდ მთელი დღეღამე ამუშავე ტრაქტორი. ოოო... რომ იცოდე, გოგი, რა ვნახე, რა ვნახე...

— დათო, მეც ხომ მაჩვენებ ტრაქტორს?

— აი სულელი, იმიტომ მივდივართ ქალაქში, რომ ტრაქტორიც ვნახოთ და კიდეც ვისწავლოთ მისი ხმარება, მაშ! უნდა გამოგიტყდე და გითხრა, რომ მე იმ დღეს დიდმის მინდორზე ახალ ადამიანად ვიქეცი. თითქოს ახლად დავიბადე, სრულიად გამოვიცვალე და მას შემდეგ სხეულში რაღაცა ახალი სხივი ჩამესახა, მოსვენება დავკარგე, სულ ფიქრად გადავიქეცი. დღე და ღამე იმას მოველოდი, როცა ტრაქტორზე ჯდომას, მის მართვას ვისწავლიდი. სხვა აღარაფერი მაგონდებოდა. ვიძახდი: „ნეტავ იმ დროს მოვსწრებოდი, რომ ჩემი ხელით ჩემ სოფელში ტრაქტორი მიმეტანა. ხომ გავაბედნიერებდი გლეხობას! შენც იმიტომ წამოგიყვანე ქალაქში, გოგი, უნდა ვისწავლოთ მემანქანეობა, ზეინკლობა, ტრაქტორის ავი და კარგი: ხომ იცი, ჩვენი სოფელიც ეღირსება ტრაქტორს, მისი მოვლა და ხმარება უნდა შევძლოთ.

სჯა-ბაასში გართული ახალგაზრდები უკვე ვერაზე ჩასულიყვნენ. ქალაქის მოუსვენარი და მშფოთარე ცხოვრების გამოძახილი ყველაფერს თავის დაღს ასვამდა. ეტლი ეტლს მისდევდა, ტრამვაის რონოდა რონოდას. შეშით და სხვა სანოვაგით დატვირთული ურმები დიდ გაჭირვებით უქცევდა ერთმანეთს გზას, სწრაფი ავტოსშორიდან დანახვაზე თითოეული მეურმე ქუჩის ერთ მხარეს ერეკებოდა მუშა-საქონელს. ნახულით გაოცებული დათო და გოგი სმენად გადაქცეულიყვნენ. ქალაქი სოფელს არ ჰგავდა. თითქოს ხალხიც სხვა იყო, უცხო ხალხი. ყველას რაღაცა სიდინჯე და ამავე დროს მოუსვენრობაც ეტყობოდა. დაღვრემილი და გაუცინარი მიდი-მოდიოდა ხალხი. ყველა რაღაცას ეშურებოდა, ეშინოდა არ დაგვიანებოდა, დრო არ გაეცდინა. ქალაქი უფრო საათსა ჰგავდა, დიდ საათს, წინასწარ გაზომილი დროთი რომ მუშაობს და ისვენებს.

მაგრამ გარეგნობით მიუკარებელი ქალაქელები ახლო გაცნობისას ძალიან მოეწონათ დათოსა და გოგისაც. სერგო ლაბაშვილი, რომლის ოჯახში დათო ორჯერ თუ სამჯერ ჰყავდა წინათ მამას, დიდი ამბით და სიხარულით დაუხვდა სოფლიდან ჩამოსულ გლეხის შვილებს. სერგომ ყველაფერი გამოჰკითხა, აამბობინა მათი თავგადასავალი, ბევრი იცინა და ყოველგვარი დახმარების აღმოჩენას შეჰპირდა. ისიც კი უთხრა, რომ წერილს გაუგზავნიდა სოფელ ნაფეტვარში დათოსა და გოგის მშობლებს, დაამშვიდებდა მათ და შეატყობინებდა, რომ სახლიდან გამოქცეული ახალგაზრდები არ მოეძებნათ.

მალე საქმეც ძოეწყო. დათო და გოგი ექვსთვიან სასოფლო-სამეურნეო კურსებზე მიიღეს. სერგომ მოუხერხა მათ, რომ ბინა, ჭამა-სმაც უსასყიდლო ჰქონოდათ. თავაუღებელი მეცადინეობდენ დღედაღამე დათო და გოგი. ისმენდენ ლექციებს სხვადასხვა დარგიდან, კითხულობდენ და წერდენ, რადგან ერთმაც და მეორემაც წერა-კითხვა იცოდა. ხშირად ყურს უგდებდენ ამხანაგების სჯა-ბაასს, ყველაფერს აკვირდებოდენ. დროგამოშვებით სხვა კურსანტებთან ერთად ისინიც გადიოდენ ქალაქგარეთ მინდორში ტრაქტორზე ვარჯიშობისათვის. ტრაქტორის თითოეული ნაწილის მუშაობას და მოძრაობას გაფაციცებით თვალყურს ადევნებდენ და სწავლობდენ.

გორი. „ოქტ. რევ" სახ. № 1 კოლექტივის სამხატვრო წრე.

— აი, გოგი, ტრაქტორის მთავარი ამმოძრავებელი ე'' მაგნიტოა. შემდეგ ცილინდრებია და სხვა. აქ ყველა ნაწილი შეხამებული და შეთანხმებულია. ერთი ხრახნი რომ მოიშალოს, ან იგივე ხრახნები, ვთქვათ, ცილინდრში ერთნაირად არ იყოს დაჭიმული, მანქანას მამოძრავებელი ძალა დაკლდება და აღარ იმუშავებს. მაგრამ თავისთავად საინტერესოა თვით მანქანის მოწყობილობაც. ერთი შეხედვით ტრაქტორი უშველებელ ჯოჯოს ჰგავს, მაგრამ ხედავ, რა ძალა აქვს, მინდორსა და ველს ჰგლეჯს, დღეში 4 — 5 ჰექტარ მიწასა ჰხნავს. მე და შენ კარგად უნდა გავახილოთ თვალი, ყველაფერი უნდა გავიგოთ და ვისწავლოთ, რომ არაფერი გამოგვრჩეს. ვისაც უნდა ტრაქტორზე მუშაობა, მან სხვაც ბევრი რამ უნდა იცოდეს: იარაღების ცნობა, მოხმარება და სხვა.

ერთი სიტყვით, დათო და გოგი ცნობისმოყვარეობასა და ბეჯითობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდენ. რასაც კი კავშირი და რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა ტრაქტორისმცოდნეობასთან, ყველაფერს გულმოდგინედ სწავლობდენ და ითვისებდენ. მანქანებსაც ეცნობოდენ. თუ სადმე გამოფენა იყო, იქ ესწრებოდენ, მცენარეთა შესასწავლად ხშირად დაიარებოდენ როგორც ბოტანიკურ ბაღში, ისე ტფილისის ახლო მდებარე საცდელ-საჩვენებელ მამულებში. მაგრამ რა ფასი, რა ღირებულება ჰქონდა ყველა ამ მეცადინეობას და შრომას, თუ კურსის დამთავრების შემდეგ დათო და გოგი სოფელ ნაფეტვარში არ დაბრუნდებოდენ და არ იმუშავებდენ? სოფელ ნაფეტვარში კი ტრაქტორი არ იყო. გლეხობამ არაკი იცოდა ხეირიანად რა იყო ტრაქტორი ან რა მნიშნელობა ჰქონდა მას სოფლის მეურნეობაში. ამიტომ მისი შეძენისათვის სოფელი არც თუ ისე იცხელებდა თავს,

კურსდამთავრების შემდეგ დათას და გოგის შეეძლოთ სხვა სოფელში, ან სხვა ქვეყანაში ემსახურათ, იქნება კარგი ჯამაგირიც ჰქონოდათ, მაგრამ განა ამიტომ იტანჯენ ისინი, რომ პირადი ცხოვრება საზოგადო საქმეზე მაღლა დაეყენებიათ? რასაკვირველია, არა. მაშ სად იყო გამოსავალი, ან ვინ შეისმენდა და გაიგებდა ამ ორი კარგი ადამიანის გულისცემას და მისწრაფებას? არავინ იცოდა. იმედი ბოლოდ ერთადერთი იყო: უკეთესი მომავლის რწმენა. ბავშური გატაცებით მოელოდა ორივე ახალგაზრდა, რომ მათ ხელს გაუწვდიდა და დაეხმარებოდა საბჭოთა ხელისუფლება. ასეც მოხდა. დათოს და გოგის წინაგრძნობა სინამდვილედ იქცა. თურმე სოფელ ნაფეტვარზე სერგო ლაბაშვილიც ბევრს ფიქრობდა.

სერგო ლაბაშვილი რკინის გზის სახელოსნოების მუშა იყო, ფრიად გავლენიანი კაცი, ყველასთვის საყვარელი, ძველი რევოლუციონერი და, აი, სერგოც თურმე დღედაღამე იმის ფიქრში იყო, როგორ გადასცემოდა სოფელ ნაფეტვარის გლეხობას ერთი ტრაქტორი. დათოს და გოგის ამბავი სერგომ ქვეყანას მოსდო, აუხსნა, სადაც ჯერ არს, მათი ტფილისში ჩამოსვლა, სწავლა-მეცადინეობა და ერთ საპასუხისმგებლო კრებაზე მოითხოვა, რომ სოფლად ტრაქტორების განაწილების დროს ერთი ცალი მისცემოდა სოფელ ნაფეტვარის გლეხობას. ამ თხოვნას ყველა თანაგრძნობით მიეგება, და გადაწყდა სოფელ ნაფეტვარს გადასცემოდა ერთი ტრაქტორი ხოლტის სისტემისა.

— დათო, დაამთავრეთ შენ და გოგიამ კურსი? — შეეკითხა ერთხელ სერგო დათოს, როცა ის ქუჩაზე მიმავალი ნახა.

— დიაღ.

— ახლა რას აპირებთ, სად, რომელ მაზრაში, ან რომელ სოფელში გნიშნავენ სამუშაოდ?

— არ ვიცი, სერგო!

— ამდენი იწვალეთ, იამაგეთ და რა ბედი მოგელისთ, კაცო, არ იცი?

— გეფიცები სიყრმეს, არ ვიცი.

— მაშ მე გეტყვი, სად წახვალთ და რა საქმეზე.

— სერგო, ჩემო კარგო... დათოს უნდოდა კიდევ რაღაცა ეთქვა, რომ მოულოდნელად ენა დაება და გაფითრდა, თითქოს გრძნობს, რაც უნდა უთხრას სერგომო.

— შენ და გოგი თქვენსავე სოფელში ხართ დანიშნული ტრაქტორზე მემანქანეებად.

— რას ამბობ, სერგო! ტრაქტორი ვინ მისცა ჩვენ სოფელს?

— ვინა და ჩვენმა მთავრობამ, საბჭოთა ხელისუფლებამ.

— იდღეგრძელე, ხალხის ერთგულო, მოამაგე! ძლივს ჩაილაპარაკა დათომ, სიხარულისგან ცეცხლად აენთო, წითლად აემზიურა პირისახე. ამის შემდეგ აღარ ახსოვს მას, როგორ გასცილდა სერგო ლაბაშვილს და რომელი ქუჩით წავიდა შინისაკენ, რომ ეს ამბავი ახლა გოგისთვის ეთქვა და გაეხარებინა.

**გ. პარკაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჩვენი ცოცხალი საქმე"

## წერილი პოლიტემიგრანტთა კლუბთან არსებულ კორეიელთა საბავშო ბაღიდან.

გვინდა გიამბოთ ყველას, საიდან მოვედით თქვენთან და რატომ ვცხოვრობთ ახლა საბჭოთა კავშირში.

ჩვენ მოვედით კორეიიდან; კორეია ძალზე დაშორებულია საბჭოთა კავშირისაგან.

თუ რომელიმე თქვენგანს აქვს რუკა ან გლობუსი, სთხოვეთ უფროსებს გიპოვნონ და გიჩვენონ კორეია, — მაშინ თქვენ თვითონ ნახავთ, თუ როგორ შორსაა ის თქვენგან.

კორეია ძალიან ლამაზი და თბილი ქვეყანაა,მაგრამ ჩვენი ცხოვრება იქ შეუძლებელი იყო, ვინაიდან იაპონიის ჟანდარმები ხოცავდენ კორეიის კომუნისტებსა და გლეხებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ უნდოდათ თავისი ქვეყნიდან გაერეკათ იაპონელი მდიდრები და იაპონელი მეფე.

ჩვენი მამები — კომუნისტებია, და ამიტომ მათ უნდა დაეტოვებიათ კორეია.

როდესაც ჩამოვედით საბჭოთა კავშირში, საბავშო ბაღში მივებარეთ.

ჩვენ გვიყვარს ჩვენი საბავშო ბაღი და მხიარულადა ვართ იქ. ბევრი საინტერესო სათამაშოც გვაქვს.

საბავშო ბაღის კორეიელი ბავშვები.

ახლა ჩვენ გწერთ საბავშო ბაღიდან, ყველას ვუძღვნით სალამს და **წინადადებას გაძლევთ ვაწარმოოთ მიწერ-მოწერა.**

ჩვენი მისამართი: **მოსკოვი, ლეონტიევის შესახვევი, № 18, პოლიტიკური ემიგრანტების კლუბი.**

## გადავედით მუშაობის ახალ სისტემაზე.

მაისის შუა რიცხვებში მოწვეულ იქნა სიღნაღის თემის პიონერთა კონფერენცია. კონფერენციამ დაამუშავა ახალი სისტემით მუშაობის საკითხი და აგრეთვე მოსთხოვა საინფორმაციო მოხსენება კახეთის სამაზრო ბიუროს.

ჩამოყალიბებულ იქნა რადიომოყვარულთა და მორზეს ანბანის შემსწავლელთა წრე, თემის მასშტაბით მოწყობილ იქნა პიონერთა სამკითხველო, რომელშიც მოწყობილია კუთხეები წრეების სამუშაოდ. ახალმა სისტემამ მისცა პიონერებს შესაძლებლობა, რომ სურვილისამებრ იმუშაონ სხვადასხვა წრეში და საინიციატივო ჯგუფებში.

**მიხეილ ცაკაშვილი.**

## ჩვენი ნაკლი და მილწევები

**(ჩვენი კოლექტივის არსებობის 2 წლის თავის გამო).**

2 წელი შესრულდა, რაც ქ. სიღნაღში არსებობს ამხ. ს. ჯუღელის სახ. ნ/პ. კოლექტივი, სადაც 63 პიონერი და 54 ოქტომბრელია. მისი მუშაობა სათანადოდ მიმდინარეობს. კოლექტივის ბინაში მოწყობილი გვაქვს: ლენინის, ჩვენი შემოქმედების (უმთავრესად ნახატები) და სხვა კუთხეები. მთელი ამ ხნის განმავლობაში გამოცემულია ყოველთვიური კედლის გაზეთის „პიონერის ხმა" 29 ნომერი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარგში თითოეული პიონერი აქტიურ მონაწილეობას იღებს. კოლექტივში არსებობს თავისუფალი ორგანიზაციები: რემედასის, წითელი ჯვრის, ოსოავიაქიმის ბიურო და სხვა. გვაქვს სათანადო პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა. თანახმად თემკომის ცირკულიარისა, ვაგროვებთ უვარგის ქაღალდსა და რკინას. ვდგამთ წარმოდგენებს და შეგროვილი ფულით ვეხმარებით უღარიბეს პიონერებს. თითოეული პიონერი ცდილობს მოიზიდოს უპარტიო ამხანაგები ჩვენს რიგებში. ქალთა რიცხვი პირველ ხანებში მცირე იყო, ხოლო დღეს საგრძნობლად გაიზარდა. ჩამოყალიბებულია ქალთ-ბურთის შემსწავლელი ჯგუფი. ვაკეთებთ მოხსენებებს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ჩვენს კოლექტივზე შეფობა აქვს აღებული კახეთის მედსანშრომის კავშირს, რომელმაც გვიყიდა საყვირი, დოლი, დროშა და თვიურად გვაძლევს 5 მან. კოლექტივში რამდენიმე პიონერი არ ემორჩილებოდა ნ. პ. წესდებას. ეს პიონერები გავასამართლეთ სხვა კოლექტივებთან ერთად, მათ დაუმტკიცდათ წამოყენებული ბრალდებები, და ისინი გამოვრიცხეთ. კოლექტივის ხელმძღვანელის ამხ. შ. მინადორაშვილის ენერგიული მუშაობა ძალიან უწყობს ხელს ჩვენს წინსვლას. კოლექტივს ნაკლიც აქვს. ეს გამოიხატება იმაში, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა ასაკში მოსული პიონერების გადარიცხვას ა. ლ. კ. კ. უჯრედში. სუსტად მუშაობს თავდაცვა-ავიაქიმის ბიურო, არ არის ჩამოყალიბებული წრეობრივი მუშაობა. გარდა ამისა, მოისუსტებს ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებულის მუშაობა, მას გავრცელებული აქვს მხოლოდ „ახალგაზრდა კომუნისტი" 7 ცალი და 2 ცალი „პიონერი". დიდ ნაკლად ჩაითვლება აგრეთვე ის გარემოება, რომ ჩვენ კოლექტივს არა აქვს წერილობითი კავშირი სხვა რომელიმე კოლექტივთან. მოისუსტებს რგოლების მუშაობაც, სათანადოდ ვერ არიან გამოყენებული აქტიური პიონერები კოლექტივის სხვადასხვა საქმიანობაში. იმედია, რომ ამ ნაკლსაც გამოასწორებს კოლექტივის საბჭო.

**პიკორი ივ. ხუნაშვილი.**

## ჯურყვეთის თემი.

ოთხი წელია, რაც ჯურყვეთის თემში (ოზურგეთის მაზრა) არსებობს ნ/პ. კოლექტივი. ამ ხნის განმავლობაში მუშაობა ძლიერ მოისუსტებს.

არ იწვევენ კრებებს, არ არის პიონერული ლიტერატურა, ჟურ. „პიონერიც“ არ არის გამოწერილი. არ ეწყობა ექსკურსიები ან სხვა რაიმე. ადგილობრივი კომკავშირის თემკომი ამას ყურადღებას არ აქცევს, ეს მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნია. არც უჯრედის წარმომადგენლობის ხელმძღვანელობა ჩანს. თვით კომკავშირელები არც-კი იცნობენ პიონერებს, არ იციან, ვინ არიან პიონერები, ან რა ევალებათ კომკავშირელებს მათ მიმართ. სამწუხაროა ისიც, რომ არც პიონერებმა იციან პიონერ-კოლექტივის მნიშვნელობა, რაც მიეწერება, ცხადია, კომკავშირის თემკომის და უჯრედების წარმომადგენლების გულგრილობას. კომკავშირის სამბიურო ყოველთვის ჰგზავნის დირექტივებს, მაგრამ ის სადღაც კუნჯულში იმალება; ასეთი ხელმძღვანელობით კოლექტივი უსათუოდ დაიშლება.

**გრიშა მოქია.**

## ოქტომბრელთა მუშაობა

**(ქ. ოზურგეთი)**

ოზ. „ეპო“-ს, კომპარტიისა და კომკავშირთან არსებულ ლ. ქართველიშვილის სახელობის ნ/პ. კოლექტივის ოქტომბრელთა ჯგუფის მუშაობა მეტად წინ მიდის. ხელმძღვანელად გამოყოფილია ამხ. ნინო ვასაძე, რომელიც აწარმოებს აქტიურ და ენერგიულ მუშაობას. ოქტომბრელის ჯგუფში გაერთიანებულია 60 ბავში, დაყოფილია ვარსკვლავებად, თითო ვარსკვალავში შედის 5 ბავში; არსებობს 12 ვარსკვლავი, თითო ვარსკვლავს ჰყავს ხელმძღვანელი. ვარსკვლავის ხელმძღვანელი ვალდებულია საანგარიშო მოხსენება ჩაატაროს ოქტომბრელთა კრებაზე თავისი ვარსკვლავის მუშაობის შესახებ. მეცადინეობა კვირაში ერთხელაა. ყველა ოქტომბრელი გარკვეულია მუშაობაში.

მადლობის ღირსია ამხანაგი ნინო ვასაძე, რომელიც აწარმოებს აქტიურ და ენერგიულ მუშაობას ოქტომბრელთა ჯგუფში.

ბავშკორი **ქეთო ვასაძე.**

## ჩვენი მუშაობა

სოფელ ტიბანში 1926 წლიდან არსებობს სტალინის სახელობის ნ/პ.კოლექტივი, რომელსაც ჰყავს საბჭო; კოლექტივი დაყოფილია 6 რგოლად; ვარჯიში და მეცადინეობა კვირაობით წარმოებს. რედკოლეგია უშვებს თვიურ კედლის გაზეთს „ნორჩი პიონერი“. არის სანიტარული კომისია, ლენინის და სტალინის კუთხეები. წერილობითი კავშირი გვაქვს ტფილისის რაიკომის მე-5 კოლექტივთან. სამკითხველოს გამოწერილი აქვს ჟურ. „პიონერი“, „ოქტომბრელი“ და გაზეთი „ახალი სოფელი“. პიონერებმა ჩაატარეს კულტურული ლაშქრობა და ქალალდიც შეაგროვეს. ახლა სოფ. ახ. სკოლის მოწაფე პიონერები სოფლად ეხმარებიან მას, ვისაც არა ჰყავს მუშა-ხელი.

ნ. პ. კოლექტივის მუშაობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მას ხელს უშლის ეკონომიური სისუსტე.

პიონერი **ფილა ლათაფაშვილი.**

## ლაშქრობა კალიის წინააღმდეგ

სოფელი **კასპში** (გორის მაზრა) აშურიანის ველზე გაჩნდა კალია, რომელიც დიდ საფრთხეს უმზადებდა პურეულობის მოსავლიანობას, მაგრამ დროზე იქნა ზომები მიღებული მის წინააღმდეგ.

ადგილობრივმა კომკავშირის უჯრედმა მოაწყო ლაშქრობა, რომელსაც შეუერთდა აქვე არსებული ამხ. მარიამ ორახელაშვილის სახელობის ნორჩ პიონერთა კოლექტივი. სარაიონო ბიუროს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით, ისინი ერთად გაემგზავრენ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პიონერები დაუღალავი ენერგიით ებრძოდენ კალიას, სთხრიდენ თხრილებს, ცოცხებით და ნიჩბებით აგროვებდენ და თავმოყრილ კალიებს მიწას აყრიდენ.

ასეთი აქტიური და სამაგალითო მუშაობისათვის ნორჩ პიონერთა კოლექტივს მადლობა უნდა გამოეცხადოს.

**შ—ი.**

## სამხატვრო წრე

ნ. პ. გორის ორგ. „ოქტ. რევ.“ სახელობის № 1 კოლექტივის სამხატვრო წრის მუშაობა ნაყოფიერია.

წრის წევრები ხატავენ: პლაკატებს, ბელადების სურათებს და სხვადასხვა საგანს.

გორის მაზრის სამხატვრო წრეების საკონკურსო შეჯიბრში პირველი ჯილდო ჩვენმა წრემ მიიღო. სამაზრო ბიურომ ჯილდოს სახით ხსენებულ წრეს გადმოსცა: რვეულები, ფანქრები, ნახატებიანი წიგნები, ფერადი საღებავები და სხვა.

საერთოდ ყოველი დღესასწაულის დროს სამხატვრო დავალებებს წრე კარგად ასრულებს; წრეში ირიცხება 5 წევრი.

წრის მუშაობას წინ ეღობება უსახსრობა.

იმედია, ამას ყურადღებას მიაქცევს სამბიურო.

ბავშკორი **არ. აკოფოვი.**

## მადლობის ღირსია!

**(სურამი)**

დიდი ხანია, რაც ქ. სურამში არსებობს ნ. პ. ორგანიზაცია, მაგრამ მას არავინ არ უწევდა დახმარებას როგორც მატერიალურად, ისე ორგანიზაციულად. მაგრამ ექიმმა ამბარცუმ აკოფოვმა შესძინა სურამის ნ. პ. I კოლექტივს დოლი და საყვირი და ამჟამად განზრახული აქვს უყიდოს მას ქართული და რუსული ბიბლიოთეკა. სურამის ნ. პ. I კოლექტივი დიდ მადლობას უძღვნის მას. იგი ამჟამად სურამის ერთ-ერთ საპატიო პიონერად ითვლება.

**ბ. ხარაზოვი.**

## დაშლის გზაზეა

**(სენაკის მაზრა, უშაბათის თემი).**

უშაბათის თემის სოფელ ლეგოგენის 4-წლედთან 1928 წელს ჩამოყალიბდა მამია ორახელაშვილის სახელობის პიონერ-კოლექტივი. მუშაობა სუსტია. ხელმძღვანელი გამოყოფილ იქნა თემკომიდან. ის პირველ ხანებში სისტემ ტიურ მუშაობას აწარმოებდა, მაგრამ მალე მიიძინა. მის შემდეგ კიდევ იქნა ხელმძღვანელი მიმაგრებული, მაგრამ იმანაც ვერ გაამართლა პიონერ-კოლექტივის იმედები. საჭიროა სამკომმა ყურადღება მიაქციოს ამას, თორემ ჩვენი პიონერ-კოლექტივი დაშლის გზაზეა დამდგარი.

პიონერი **ვ. ჭ—ია.**

# მურზაყან და უჩა.

— აბა, მურზაყან, დაიწყე!.. ეხვეწებოდენ შავთმიან ბავშს.

— რა უნდა დავიწყო, ყველაფერი გიამბეთ.

— რა და როგორ მოხვდი აქ, გვიამბე.

— აკი გითხარით!

— კიდევ მოჰყევი, რა გენაღვლება!..

არ მიცეს მოსვენება 13 წლის მურზაყანს, და მანაც წკრიალა ხმით დაიწყო:

— ხომ გახსოვთ, მაშინც ვთქვი, მე და უჩა ზემო სვანეთიდან ვართ. ჩვენი სოფლის ჩრდილოეთით უზარმაზარ კედელივით აყუდებულა მარად სპეტაკი თოვლით დაფარული მთები. მაგრამ მათ შორის თავის სილამაზით გამოირჩევა უშბა და თეთნულდი. ისინი ამაყად დგანან, თავი ზეცაში აქვთ ატყორცნილი და თითქოს გახარებულივით კადმოიყურებიან დაბლა. მათზე ლამაზი მთები, მგონია, არსად არ უნდა იყოს...

სტეფანწმინდელი ვაჟიკა წამოხტა, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

— მყინვარი ნაკლები არაა! ვინც ნახა, ყველაზე ლამაზად ის მიაჩნია.

— გაჩერდი, ვაჟიკა, შენ კი განაგრძე, მურზაყან, — ჩაეძიენ ბავშები.

— ჩვენი მხარე ძალიან მდიდარია ტყეებით. მე და უჩა დანებით შეიარაღებულნი დავეხეტებოდით შიგ. მტრის გვეშინოდა, თუმცა ძალიან პატარები ვიყავით.

— ვინ გემტერებოდათ? — შეეკითხა შაქრო.

— აბა რა ვიცი, ბაბუა დუდე გვეუბნებოდა, ფრთხილად იყავით, სისხლი არ იძიონ, მამათქვენიც იმათ იმსხვერპლესო. მე და უჩა ბაბუასთან ვიზრდებოდით დაობლების შემდეგ. ძალიან განუვითარებელია მოხუცი ბაბუა. არაფერი იცის დღევანდელი ცხოვრების. ამ ზაფხულს რომ წავალ, ბევრ რამეს ვუამბობ.

ჩვენი ცხოვრება ჩვეულებრივ მიდიოდა. ერთხელ სოფელს ხალხი ეწვია, გაშავებული და მზისგან დამწვარი. ჩვენ გაკვირვებული ვუყურებდით მათ. მაშინ ასე გავიგონე ერთის სიტყვები: „ექსკურანტი, ექსკურანტი“. ახლა კი ვიცი, ალბათ ექსკურსანტი სთქვა. სოფელმა სტუმრები მოიპატიჟა. ორი ბაბუასაც შეხვდა. რა მხიარული იყვნენ ისინი! ხალისით დაათვალიერეს კოშკი, აინტერესებდათ ყველაფერი და ბოლოს ყველანი ერთად დაგვაყენეს. რაღაც მოგვაშვირეს, ატრიალეს და ათი წუთის შემდეგ ჩვენი სურათები მოგვცეს. გაოცებით შევყურებდით მაშინ იმ კოლოფს. თქვენ ყველა მიხვდით, რომ კოლოფი ფოტოაპარატი იყო.

— თქვენ ექსკურანტი ხართ? — შეეკითხე სტუმარს.

— ჰო, პატარავ, — სიცილით მიპასუხა მან.

— აქედან სად წახვალთ? — არ ასვენებდა უჩა.

— აქედან? ტფილისში... პირდაპირ ტფილისში. იქ ფართო და ლამაზი ქუჩებია. ტრამვაის ვაგონები დასრიალებს. ხალხი ფუსფუსობს. ყველა სადღაც მიიჩქარის. ღამით ელექტრობა ინთება. მაშინ ქალაქი ზღაპრულად გამოიყურება. თითქოს ტფილისი ცეცხლში იწვისო.

ჩვენ დიდხანს ვტკბებოდით მისგან მოყოლილი ამბებით, ბოლოს კი ვინატრეთ:

— ნეტავი იქ ვიყოთ!..

— ძალიან გინდათ იქ ყოფნა?..

— ძალიან, ძალიან!

უცნობს მეტი არაფერი უთქვამს. მეორე დილით ის ამხანაგს ალაპარაკა რაღაცას. მერე დუდე მიიწვიეს და სადღაც წაიყვანეს. გავიდა კარგახანი. ბაბუა დაბრუნდა, ტკბილად მოგვიალერსა. ჩვენ ქალაქში მივყავდით. მთელ სოფელს გაეგო. ყველა გვემშვიდობებოდა. ბაბუა დუდესთან და „შავ“ ხალხთან ერთად დავუყევით გზას. ხევთან გავლისას, ბილიკის სივიწროვის გამო, უჩას ფეხი დაუცდა. კინაღამ დაემშვიდობა სიცოცხლეს. ჩვენში გზები ხომ სრულებით არაა. ერთი კვირის შემდეგ ამ შენობაში მოგვიყვანეს, გარედან რომ აწერია: „ქართველ მთიელთა კულტურული სახლი“.

—

მათი ჩამოსვლის დღიდან ოთხი წელი გავიდა. მურზაყან და უჩა რამდენი ხანია სკოლაშიაც დადიან სახელმწიფო ხარჯზე. ბევრი რამ ისწავლეს პაწიებმა. მურზაყანი კედლის გაზეთს ხელძღვანელობს სკოლაში, უჩა სასკოლო კოოპერატივში ფუსფუსობს. ყველაფერში მონაწილეობას იღებენ ცელქები.

—

ამ ზაფხულს ძმები სოფელს ეწვიენ; ყველაფერი გამოცვლილიყო. გზა შეეკეთებინათ (უჩას ყველაზე უფრო ეს გაუხარდა, აფთიაქი და საავადმყოფო გაეხსნათ. მოშორებით კოოპერატივიც იყო. მის დანახვაზე უჩას თვალები გაუბრწყინდა, მოაგონდა ცხელი საუზმე.

— ხედავ, მურზაყან, ეს კოოპერატივები ყველგან ყოფილა!..

— ჰოო...

— გასახარელია, არა?

— გასახარელია.

უკვე რამდენიმე დღე იყვნენ მოსული ძმები ბაბუასთან, მაგრამ მხოლოდ ახლა შეამჩნიეს ათამდე წამლის ცალიერი მუშა, კედელზე თოკით დაკიდებული.

— ვინ იყო ავად? — შეეკითხა მოხუცებულ დუდეს მურზაყანი.

— არავინ, — უკმაყოფილოდ უპასუხა ბაბუამ.

გავიდა ერთი კვირა. მოხუცმა კიდევ მოიტანა შუშები. გაოცებული მურზაყანი ჩუმად გაჰყვა მას. დუდე ჯერ ექიმთან შევიდა, იქიდან აფთიაქში და წამლით სავსე შუშა გამოიტანა. წავიდა მოხუცი წყაროზე, მოხსნა თავი წამლის შუშას და ის იყო უნდა დაეპირქვავებინა, რომ ამ დროს მურზაყანის ხმაც მოესმა:

— შეჩერდი, შეჩერდი!..

დუდე შეკრთა, შემდეგ დამნაშავესავით ჩაილაპარაკა:

— ამ წამლების არაფერი მწამს, შუშები კი ლამაზია!

ბავში მას მოუყვა ყველაფერს, რაც კი იცოდა მკურნალობის შესახებ. ვინ იცის, დაიჯერა თუ არა მოხუცმა მისი ნალაპარაკევი, თუმცა იმ შემთხვევის შემდეგ მას წამლები არ გადაუღვრია.

უჩა და მურზაყანი ბევრ რამეში ეთანხმებოდენ ერთმანეთს. დუდეს პირდაპირ შუახნის ჯანსული ცხოვრობდა. უყვარდა ნადირობა და ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდა.

— დალი მწყალობს, — ამბობდა იგი ხშირად.

— ის ზღაპარია, — იცინოდა მურზაყანი.

— ქალაქს გაგიყდი, ბავშო? რას ამბობ?

— მართალს! არც დალია და არც ეშმაკი.

—

ზაფხული მიიწურა. ბავშები გამოემშვიდობენ სოფელს. კოშკები შორიდან ძლივს მოჩანდა. ენგურის ღრიალი მოეწონათ. მთები ტყეებით იყო დაფარული. ყველაფერი ახარებდა გულს. მურზაყანი და უჩა ტფილისში დაბრუნდენ. პირველს ბევრი მასალა ჰქონდა კედლის გაზეთისათვის, მეორეს კი — ბავშური სილაღე და ახალი ენერგია კოოპერატივში სამუშაოდ.

დღე დღეს მისდევდა. ქალაქში ქარი ამოვარდებოდა ხანდახან.

იანვარს ბავშები აღტაცებით შეხვდენ. საერთო მწუხარებას, რომელიც დიდი ბელადის ხსოვნით იყო გამოწვეული, მურზაყანი და უჩაც შეუერთდენ.

მათი სათუთი გული ტკივილებით დაისერა... ეს იყო მხოლოდ დროებით... მურზაყანმა და უჩამ კარგად იცოდენ, რომ გლოვა ლენინზე არ იყო უიმედობის გამომწვევი, არამედ მომავალი ბრძოლის იმედებს ანთებდა გულში.

**მიხეილ კეკელიძე.**

## ღრმა წყლის თევზები

ძველი თქმულების თანახმად, მესინის სრუტეში მეზღვაურებს ორი გველეშაპი უყარაულებდა. ერთ მხარეს იყო სცილა, მეორე მაარეს — ქარიბდა. ექვსთავიანი სცილა ექვს-ექვს კაცს იტაცებდა და ზღვის სიღრმეში მიჰქონდა, მერე კი ისევ ამოისვრიდა თავის ნადავლს.

ამ ლეგენდას საფუძვლად უდევს ის, რომ მესინის სრუტეში მეტად ძლიერი დინება და მორევებია; აქ მეტად დიდი სიღრმიდან ამოაქვს წყალს ხანდახან საოცარი თევზები, რომლებსაც ვერსად ვერ ვხვდებით ჩვეულებრივ პირობებში; ზოგიერთ მათგანს უზარმაზარი პირი აქვს და გრძელი წვრილი კბილები, ზოგს — უცნაური, ძილის მსგავსი თვალები; ამ თევზებს თავზე და გვერდებზე მანათობელი წერტილები აქვთ. არის თხელი, გამჭვირვალე ფოთლის ესგავსი თევზებიც. ყველა ესენი ღრმა წყალში ცხოვრობენ — 400 მეტრიდან დაწყებული რამდენიმე ათასი მეტრის სიღრმეზე. დინებას ამოაქვს ისინი ზევით, მათთვის საზიზღარ მზის სინათლეზე.



ზევით — თევზები (სამი), რომლებსაც საშინელი დიდი პირი აქვთ; შუაში — ელექტრული ფერი თევზები (სამი) დურბინდის მსგავსი უზარმაზარი თვალებით; ქვევით — თევზი მაკრურუს, რომელსაც აგრეთვე ძალიან დიდი თვალები აქვს.

ძველ დროს არაფერი არ იცოდენ ღრმაწყლიანი ზღვების ფსკერზე მცხოვრები ცხოველების შესახებ. მეცნიერებს ეგონათ, რომ 500 მეტრის სიღრმემდეა ზღვაში სიცოცხლე, ამის ქვეეით კი არცერთი ცოცხალი არსება არ არისო. ისიც კი ეგონათ, ზღვის ფსკერზე ყინულიაო. მე-XIX ს. თანდათან გაბატონდა საწინააღმდეგო აზრი, და ბადეში მოხვდენ ხოლმე ღრმა წყლის არსებანი.

ალჟირსა და სარდინიას შორის კაბელი გაფუჭდა; დაიწყეს ზღვის სიღრმის გაზომვა და დიდი სიღრმიდან ისეთი ცხოველები ამოათრიეს, რომ ყველა ქვეყნის მეცნიერები დაინტერესდენ; ინგლისმა მოაწყო ექსპედიცია, რომელმაც 1872-1875 წელს გამოიკვლია ატლანტიური, ინდოეთის და წყნარი ოკეანეები; 1893-99 წელს ამ საკითხებზე მუშაობდა გერმანელების ექსპედიცია, რომელმაც აუარებელი საინტერესო რამ აღმოაჩინა.

ღრმა წყლის ცხოველების თავისებურობა იქ ცხოვრების პირობებით აიხსნება. უპირველეს ყოვლისა, ზღვის ფსკერზე მუდამ ბნელა, და კვების პირობები სულ სხვაგვარია, ვიდრე ზღვის ზედაპირზე. მცენარეებს უსინათლოდ არ შეუძლიათ ცხოვრება, მცენარეები კი ცხოველების პირველ საკვებს წარმოადგენენ, ვინაიდან მხოლოდ მცენარეებს შეუძლიათ არაორგანიულ ნივთიერებათა ორგანიულ შენაერთებად გარდაქმნა (ეს ხდება მზის სინათლის ენერგიის მეოხებით). ამ ენერგიით ცხოვრობენ ცხოველებიც; ლომი რომ ხბოს სჭამს, ის „მცენარეებით იკვებება“, როგორც რწყილი, რომელიც ლომის სისხლს სწოვს. ოით იკვებებიან ღრმა წყლის თევზები? ყველა მათგანი ხომ არ არის ონავარი, ყველას არა აქვს ამისი თავი.

ზღვის ზედაპირის ფენებიდან ფსკერზე ცვივა აუარებელი ორგანიული ნივთიერება — დაღუპულ ცხოველთა და მცენარეთა სხეულები, რომლებითაც იკვებებიან ფსკერზე მცხოვრები ზოგი არსებანი, მათ კი სჭამენ სხვა არსებანი, მათ კიდევ სხვანი.

ზოგ თევზს, ფსკერზე მცხოვრებს, იმხელა პირი აქვს, რომ მთელი ტანის ნახევარს უდრის, გრძელი თე-

თრი კბილები მესერივით აქვს შემოვლებული და მოწ-მობს ამ თევზების ონავრობას; ზოგი მათგანი უფრო დიდ არსებასაც კი ჰყლაპავს, ვიდრე თვითონ არის.

მუდმივი სიბნელით არის გამოწვეული ამ თევზების თავისებურება: მათ აქვთ მანათობელი ორგანოები, სხვადასხვა სახის და სხვადასხვა ადგილას. ეს მანათობელი ორგანოები ჯირკვლებია, რომლების გამონაჟონი იჟანგება ორგანიზმის მიერ მოწოდებული ჟანგბადით, რაც იწვევს ნათებას, სხვადასხვაგვარი რეფლექტორი კი ამ სინათლეს ამა თუ იმ მხარეს ავრცელებს.



ზევით—თევზი „დურბინდიანი“ თვალებით; შუაში—თევზი რომლის პირი ნისკარტს ჰგავ', ტანი კი ლენტს. ქვევით—ახალდაბადებული გველთევზა, რომელიც ფოთოლს წააგავს.

მნათობი წერტილები ხან აინთება, ხან ჩაქრება, იმის მიხედვით, თუ როდის რას მოისურვებს ამ წერტილების მქონე არსება. ანათებენ არა მხოლოდ თევზები, არამედ კიბოებიც. რატომ ანათებენ ისინი? — რომ გამოიცნონ ერთმანეთი, მონახონ თავისი მსგავსნი. გარდა ამისა, მათ სხვა დანიშნულებაც აქვთ: ზოგიერთებს თვალს უკან აქვთ დიდი „ფარნები“, რომლებიც გზას უნათებენ მათ, ზოგიერთებს კი ასეთი „ფარანი“ გრძელი, კუდის მსგავსი დანამატის ბოლოზე აქვთ. ეს დანამატი იქითაქეთ მოძრაობს; შეიძლება ამას იყენებენ საკბილოს მოსატყუილებლად: როგორც ვიცით, ღამე რომ წყალში ელექტრონის ლამფა ჩავუშვათ, მის ირგვლივ წყლის აუარებელი მცხოვრები მოიყრის თავს.

შორიდანვე რომ შეამჩნიონ ეს პატარა მნათობი წერტილები, დიდ სიღრმეზე მცხოვრებ არსებებს თვალი სხვანაირად უნდა ჰქონდესთ მოწყობილი და მართლაც, მათი თვალები დურბინდს წააგავს. მაგრამ ზოგიერთებს, რომელნიც მუდამ ფსკერზე არიან, თვალები ძალიან სუსტი აქვთ, თითქმის ატროფიაქმნილი. რათ არის ასე? იმიტომ, რომ ყოველი ცოცხალი არსება გარემო პირობებს ეგუება, და ვინაიდან ზღვის ფსკერზე ბნელა, თვალები საჭირო არ არის—რა უნდა დაინახო ბნელაში? ადამიანიც რომ დიდხანს იყოს სიბნელეში, მისი თვალი გადაეჩვევა ხედვას, წახდება (გაიხსენეთ, როგორ გვჭრის ხოლმე პირველად სინათლე თვალს სიბნელის შემდეგ).

დიდ სიღრმეზე, ზღვის „უფსკრულებში“ არც მორევია, არც ღელვა, იქ წყალი მუდამ მშვიდია. საერთოდ, ტალღების მოძრაობა 50 მეტრზე დაბლა აღარ არის. თევზები, რომლებიც ასეთ „უძრავ“ წყალში ცხოვრობენ, უმეტეს შემთხვევაში ძალიან ცუდი მცურავები არიან. ცნობილია ის ფაქტიც, რომ ტბის თევზები უფრო ცუდად ცურავენ, ვიდრე ჩქარი მდინარის თევზები. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დიდ სიღრმეზე ბევრ თევზს ბოლო კი არა აქვს, არამედ მათრახის მსგავსი წვრილი კუდი. ზოგი თევზი კასრს წააგავს, მოუქნელი ტანი აქვს და მხოლოდ ფრთებით მოძრაობს; არიან ისეთნიც, რომლებსაც ძალზე განვითარებული აქვთ ფრთები; ისინი რომ წყლის ზედაპირზე ცხოვრობდენ, ტალღების სათამაშოებად გადაიქცეოდენ.

ყველას უნახავს გველთევზა. ისიც ღრმა წყლის შვილია. ის იქ იბადება, მერე ვითარდება. ჯერ არავის არ უნახავს გველთევზას ქვირითი, არც იქიდან ახლადგამომტყდარი ლიფსიტები. სულ პაწაწა წვრილი თევზის სახით ამოდიან გველთევზები ზედაპირზე, შედიან მდინარეში, იქ ცხოვრობენ 5-6 წელიწადს და მერე ისევ ზღვის სიღრმეს მიაშურებენ. ამ დროს ისინი ფერს იცვლიან: ვერცხლისფერი ხდებიან, თვალები უდიდდებათ იმდენად, რომ თავის ზემო ზედაპირს იჭერს.

მრავლდებიან გველთევზები 1000 მეტრის სიღრმეზე. პირველად მათი ლიფსიტა ფოთოლს ჰგავს. მესინამ (იტალიაშია) შეუწყო ხელი ამ საინტერესო ცნობების შეკრებას: იქ წყალი დიდი სიღრმიდან მოაქანებს ზევით ზღვის ფსკერზე მცხოვრებ არსებებს.

როგორც ვხედავთ, ყოველი ცოცხალი არსება ეგუება გარემო პირობებს. ჩრდილოეთით, სადაც ძალიან ცივა, ცხოველებს გრძელი ბეწვი აქვთ, სამხრეთით, უდაბნოებში, პირიქით — ბეწვი მოკლეა, ვინაიდან არა ცივა და საჭირო არ არის „თბილი საბანი“ (გავიხსენოთ ლომი, სპილო), შორს დასანახავად ზოგ თევზებს ჭოგრის მსგავსი უზარმაზარი თვალები აქვთ და ბნელში მცხოვრებთ კი თვალები სულ უჩლუნგდებათ.

ასეთია ცხოვრების პირობებთან შეგუების აუცილებლობის შედეგები.

**ისარი.**

# საბჭოთა კავშირის შორეულ კუთხეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზბეკისტანი საბჭოთა კავშირის შორეული კუთხეა. დაწყებული ქ. ორენბურგიდან ტაშკენტამდე უზარმაზარი ველებია გადაჭიმული. ეს ველები არ ჰგავს რუსეთის, უკრაინის ველებს, იქ არ ხარობს არც ხე და არც დიდრონი ღელეები მიჩანჩქერობს, ყველაფერი უდაბნოსავითაა გადატრუსული.

მხოლოდ გაზაფხულზე იცის აყვავება ამ ველებმა, სანამ მიწას დამდნარი თოვლის სისოველე აქვს შენახული. მაშინ ველებს ააწითლებს ყაყაჩოები და სხვა ათასი ბუჩქი და ყვავილი, მაგრამ ამ ველების აყვავება ხანმოკლეა, ორი კვირის განმავლობაში ცხელი მზე მთლად გადასწვავს ყველაფერს. რამდენიმე მეტრის სიღრმეზე მიწა შრება, მცენარეულობას ესპობა არსებობის საშვალება.

ამ ველების მცხოვრებლები ყირგიზები არიან; ისინი მომთაბარე ხალხია; როცა ველი გადახმება, აჰკიდებენ თავის ბარგ-ბარხანას აქლემებს და მიდიან ახალი მწვანე ადგილების საძებრად ცხვრის ფარებისათვის. მიემგზავრებიან უმთავრესად მთებისაკენ, სადაც ჩამორბის ნაკადულები და ფერდობები ამწვანებულია მოლით.

სადაც წყალია, იქ სიცოცხლეა. სადაც არაა წყალი, იქ სიკვდილია. ზაფხულში მკვდარ ველებზე სიჩუმეა. მრავალი ათასი კილომეტრის სიგრძეზე გადაჭიმულა კზილ-კუმას უდაბნო, სადაც მხოლოდ მომთაბარე ყირგიზები და ყაზახები დახეტიალობენ.

**უდაბნოს მცხოვრებნი.**

ღარიბულად ცხოვრობენ მომთაბარენი. რგვალ იურტაში, რომელიც გაშენებულია ძლიერ მარტივად და ცხვრის ტყავითაა შემოხურული, მთელ სიმდიდრეს მხოლოდ რამდენიმე ბეწვეული და უბრალო სახმარი ნივთები შეადგენს. ამ უდაბნოში გაშენებულია კაზაკისტანის რესპუბლიკის დედაქალაქი კზილ-ორდი.

ამ ქალაქიდან კიდევ მრავალი ათასი კილომეტრის მანძილზე, ჩინეთის მხრისაკენ, გადაჭიმულია კიდევ ველები, მაგრამ აქ სულ სხვანაირი სურათი იშლება: იწყება ხეები, ვენახები.

ესაა უზბეკისტანის რესპუბლიკა. აქ უკვე არც იურტები ჩანს, დიდრონი ხეების მახლობლად ლამაზი შენობებია გაშენებული, დათესილია ბამბა, ბრინჯი, პური, აქ ბაღებია, ვარდები, აკაციები.

აი ტაშკენტიც—შუა აზიის რესპუბლიკათა ცენტრალური ქალაქი. ის ნამდვილი ქალაქ-ბაღია. ქუჩები დამშვენებულია დიდრონი ხეებით, ჩინარებით.

საინტერესოა, როგორ მოხდა, რომ შიშველი კაზაკისტანის გვერდით მშვენიერი ბაღებით და ყანებით ამწვანებული მხარე იწყება?

საიდუმლოება სწორედ მდინარეებშია, წყალი ამ უდაბნო ადგილების სიცოცხლის უდიდესი საშუალებაა.

**წყალთან.**

უზბეკისტანი—ოაზისია უდაბნოში. ცოტა, მაგრამ მაინც მოიპოვება წყალი. ხელოვნურად გაკეთებულ არხებში მოჩხრიალობს მღვრიე წყლის ნაკადულები. ყველგან, სადაც გაყვანილია ასეთი არხები, სიცოცხლეა. მუდმივი თოვლით დაფარული მთებიდან მოჩხრიალებს მდინარეები. ეს მდინარეებია სირ-დარია, ნარინა, კარა-დარია და ამუ-დარია; ეს მდინარეები დანაწილებულია და არხების საშუალებით სიცოცხლეს აძლევს მთელ მხარეს. ჯერ დიდრონი, შემდეგ პატარა და შემდეგ სულ პატარა არხებით ეს წყალი ეფინება უზბეკისტანის სოფლებსა და ყანებს, და მზისგან დამწვარ, დახეთქილ მიწას სასიცოცხლო ძალას მატებს.

წყალი—უზბეკისტანის სისხლია თითქოს, ხელოვნური რწყვა—ეს შუა აზიის სისხლის მიმოქცევის სისტემაა. ამ ქვეყნის სხეულში, როგორც სისხლის სადენი მილები, ისეა არხები.

დღედაღამე მიჩუხჩუხებს ამ არხებში წყალი, ამიტომ უზბეკისტანში ითესება ბრინჯი, ბამბა, გაშენებულია ბაღები, ხარობს დიდრონი ხეები.

ერთი ისეთი მდინარისაგან, როგორიცაა ჩირჩიკა, რომელიც 8 მეტრის სიგანისაა, 45 არხია გაყვანილი, რომლითაც 170000 ჰექტარი მიწა ირწყვება.

უზბეკისტანში იციან, თუ რა ფასი აქვს წყალს. წყალს უვლიან და ინახავენ. ათასი მოხელე უვლის და მეთვალყურეობს წყლის მდინარებას არხებში. როცა რომელიმე რაიონში არ ყოფნისთ წყალი, ეს ველები პირველ რიგში იღებს წყალს, მაგრამ საკმაო ზომით.

წყლის მოპარვა იქ დიდ დანაშაულად ითვლება. იმ ადგილებში, სადაც წყლის მთავარი არხებია გაყვანილი და მახლობლად კი სოფლებია, ამ არხებს იცავენ დარაჯები. წყლის გადასაშვებ სათავეებში კი რაფები დიდრონი ბოქლომებითაა დაკეტილი.

წყალი აქ ნაციონალიზაციაქმნილია, მისი გაყიდვა არ შეიძლება. არსებობს სპეციალური კანონი წყლის შესახებ. ძველ დროს წყლის არხები და საერთოდ წყლით სარგებლობა უმთავრესად მდიდრების ხელში იყო.

ისინი სარგებლობდენ ამ წყლებით ისე, როგორც სურდათ, ღარიბი, დაჩაგრული მოსახლეობა კი ხშირად უწყლოდ ღაფავდა სულს, არ შეეძლო უწყლობის გამო დაეთესა თავისი მიწა.

რასაკვირველია, მდგომარეობა ახლა სრულიად შეცვლილია. წყალი მთელი სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს, და მცხოვრებლებს ეძლევა ის საჭიროების მიხედვით. აი ასეთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ჩვენი მეზობელი რესპუბლიკის — უზბეკისტანის — ცხოვრებაში წყალი.

**სანი.**

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია: **მარიამ ორახელაშვილი, აკ. მახათაძე, ვ. ლუარსამიძე, ალ. მაშაშვილი და გ. აბესაძე.**

# მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა აღშფოთებულია პოლონელი ფაშისტებით.

## მსოფლიოს მუშები აღშფოთებული არიან პოლონეთის ვერაგული პოლიტიკით საბჭოთა კავშირის მიმართ.

### ძირს პოლონელი პროვოკატორები! საბჭოთა მუშათა კლასი არ დაუშვებს მის შინაურ საქმეებში პოლონელი პოლკოვნიკების ჩარევას!

საქართველოს ყოველ კუთხეში, ქარხანაში, დაწესებულებაში, სკოლაში და სხვაგან იმართება დემონსტრაციები და საპროტესტო ფრინავი მიტინგები პოლონეთის მორიგი პროვოკაციის საწინააღმდეგოდ. აი მშრომელების პასუხი:

„მოვისმინეთ რა ცნობა ქართველი ემინგრანტების მანიფესტაციაზე ვარშავაში პოლონეთის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლების დასწრების შესახებ, ჩვენ, მუშები და მოსამსახურენი, უღრმეს აღშფოთებას გამოვთქვამთ პოლონეთის ახალი ანტისაბჭოთა გამოსვლის გამო და გადაჭრით ვგმობთ პოლონეთის ხელისუფლების მიერ ემიგრანტთა კონტრრევოლუციონური ელემენტებისათვის მხარის დაჭერის ამ მორიგ ფაქტს. ვაცხადებთ, რომ პოლონეთის ფაშისტების დაძმობილება ქართველ მენშევიკებთან ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ პოლონეთში გაბატონებული კლასები ცდილობენ იმპერიალიზმის ინტერესებისათვის დაარღვიონ მშვიდობიანი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

დეე, იცოდენ პანებმა, ბურჟუებმა და პოლიციელებმა, რომ ოცნება საბჭოთა კავშირის მშრომელთა ხელახლად დამონებისა და მენშევიკური საქართველოს შესახებ განუხორციელებელია და რომ კავშირის მშრომელნი მზად არიან მკერდით დაიცვან დიდი ოქტომბრის დიადი მონაპოვარი, მსოფლიო მუშათა კლასის სოციალისტური სამშობლო!!“

ჩვენ არ გვაშინებს პოლონეთის პროვოკაციული გამოსვლა, ხოლო ვერ მოვითმენთ, რომ ეს პოლკოვნიკების და ხუცების ბატონობის ქვეყანა ჩვენს შინაურ საქმეებში ერეოდეს. მთელი მსოფლიო მუშათა კლასის სიმპატიები და გულისყური ჩვენსკენაა; ინგლისის, ამერიკის, გერმანიის და სხვა ქვეყნების მუშათა კლასი არ დაუშვებს ბურჟუაზიის, მემამულეებისა და ნაძირალების გალაშქრებას საბჭოთა კავშირზე.

ბათომის ნავსადგურში მყოფმა უცხოელმა მეზღვაურებმა ბათომში პოლონეთის პროვოკაციის საწინააღმდეგოდ გამართულ მიტინგზე და დემონსტრაციაზე მიიღეს მონაწილეობა, ეს ფაქტი კი ბევრის მთქმელია.

მიტინგზე გამოსულმა უცხოელმა მეზღვაურმა **კარლ ლეგნიკმა** შემდეგი განაცხადა: **„უცხოეთის მეზღვაურები, რომელნიც ბათომის ნავსადგურში იმყოფებიან, თავის ხმას საქართველოს პროლეტარიატს უერთებენ და მოითხოვენ პოლონეთის ჩაურევლობას საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში. საერთაშორისო პროლეტარიატი დარწმუნდა საბჭოთა კავშირის მშვიდობიან პოლიტიკაში და არ დაუშვებს სამხედრო ლაშქრობას საბჭოების წინააღმდეგ“.**

ასეა განწყობილი არა მარტო ამხ. **ლეგნიკი**, არამედ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ათეული მილიონები, ეს კი ყველაზე გულწრფელი და რეალური პასუხია პოლონეთის და სხვა ბურჟუაზიული ქვეყნების პროვოკატორებისა და მუშათა კლასის ჯალათებისადმი.

საბჭოთა კავშირის ძლიერს, შეგნებულს და კლასიურ ბრძოლებში გამობრძმედილ პროლეტარიატს და მშრომელ გლეხობას საბჭოთა კავშირის გარეთ ყველაზე გულწრფელი და რეალური დამხმარე ძალა ჰყავს ათეული მილიონიანი ლეგნიკების სახით.

ჩვენ ეს ვიცით და ენერგიულად ვაკეთებთ იმ საქმეს, რომელიც დაგვისახა ამხ. ლენინმა!

ამ დიდ საქმეს ხელს ვერ შეუშლის პოლონეთის სამხედრო შტაბის ქოფაკი ძაღლების ყეფა და ემიგრანტების სისინი.

სახელგამის სტამბა. სომხის ბაზარი, № 22.

მთავარლიტ № 1017. შეკვ. № 337. ტირაჟი 1500.